ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 8 თებერვალი, 2019 №32 (7887) ფასი: 60 თეთრი

„ალფეევი თბილისში თუ ჩამოვა, მძიმედ დაველაპარაკები“



მეუფე იაკობი რუსეთის პატრიარქის მარჯვენა ხელს დაემუქრა გვ.2

7 თებერვლიდან

ქართული დეტექტივი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„სუსში კალაძეზე სერიოზული კომპრომატები დევს“

გვ.2

დიმიტრი ბიძინაშვილი: „თბილისის მერი ეკა ბესელიას ბედს გაიზიარებს“

კობა ნარჩემაშვილმა და ბექა ნაცვლიშვილმა, შესაძლოა, უმრავლესობა დატოვონ

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „დეპუტატებს ირაკლი კობახიძის ატანა აღარ აქვთ“

დავით ზურაბიშვილი: „ბესელიამ ივანიშვილს საქმე ჩაუშალა...

„ოცნება“ ჩინჩალაძის კლანს დაამტკიცებს“

გვ.4

„ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ დაემსგავსა, სააკაშვილი ყველას რუსეთის აგენტს ეძახდა, ივანიშვილი — „ნაციონალს“

ნუკრი ქანთარია: „უმრავლესობის დაშლის საფრთხე არსებობს“

„ბეწვის ხიდია გასავლელი, წონასწორობის დაცვაა საჭირო“ გვ.3

გვ.5

„ქართველებმა აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენა უნდა ვეძებოთ“

გვ.6

„მოსამართლეებს ვურჩევ, თავს მიხედონ და იმიჯს მთლად ნუ გაიფუჭებენ“

გვ.5

ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილის რეიტინგი ნულს ჩამოსცილდა“

გიორგი ტუღუში: „სიღარიბეს ვერც ერთი კოდექსი ვერ დაძლევს!“

გვ.3

სუსმა ქრთამის აღების ფაქტზე — 1 პირი, ხოლო ქრთამის მიცემის ფაქტზე 4 პირი დააკავა

სამართალი გვ.7

ქეთი მურუსიძეს 8 წელი მიუსაჯეს

კლუბებში სპეცოპერაციისას დაკავებული რვავე პირი დამნაშავედაა ცნობილი

ISSN 1987-9385

6 გიორგი კვირიკაშვილმა ახალ სამსახურში 4 თვეში 30.000 ევრო მიიღო

7 გურიაში კანონიერი ქურდისადმი მიმართვისთვის 1 პირი დააკავეს

6 ტაქსების თეთრად გადაღებვა 1-ლი მარტიდან დაიწყება

7 „ღამით მიეპარა და მოკლა“ გიზო ბოჭორიშვილი ვარშავაში მოკლეს

„სუსში კალაძეზე სერიოზული კომპრომატები დევს“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „თბილისის მერი ეკა ბესელიას ბედს გაიზიარებს“

შორენა მარსაგიშვილი

დაიწყებს თუ არა კალაძე თავისი გუნდის შექმნას, რა კომპრომატები დევს მასზე სუსში, რატომ ვერ უპირისპირდებიან ივანიშვილს „ოცნების“ წევრები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

დიმიტრი ბიძინაშვილი:

– კახა კალაძემ რამდენჯერმე გააპიარა საკუთარი თავი და ცადა დაემტკიცებინა, რომ განსაკუთრებული მერია. რამდენჯერაც მსგავსი ნაბიჯი გადადგა, იმდენჯერ მოხვდა ბიძინა ივანიშვილისგან.

ჩვენ წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ გაიპიარა კალაძემ თავი ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის გაჩერებით, როცა სინამდვილეში ეს მშენებლობა რამდენიმე წლის წინ გააჩერეს.

როგორც კი დედაქალაქის მერმა ეს თავად დაიბრალა, სუსმა მისი კადრი, ვაკის გამგებლის მოადგილე, ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

თბილისის მერი მაინც არ გაჩერდა და ზეწოლაც გაგრძელდა – „ოცნების“ წევრებმა გამოიტანეს ინფორმაცია, რომ პარტიის ვაკის რაიონული ოფისიდან ფული მოიპარეს. ეს ფული კოორდინატორებისთვის უნდა დაერიგებინათ. ვაკის გამგებელმა კოორდინატორებს ფული ბიუჯეტიდან ჩაურიცხა.

ეს ერთ რამეზე მიუთითებს – როგორც კი კალაძე ოდნავ წამოიწევს, მის წინააღმდეგ გორდება ახალ-ახალი სკანდალები.

– ამ სკანდალებს უჩალიჩებენ თუ დედაქალაქის მერიც სცოდავს?

– ამ სკანდალებს თავადაც უწყობს ხელს. არ არის დამალული, რომ სხვადასხვა კორუფციულ გარიგებაშია ჩაფლული. ამის გარდა, გუნდში ვიღაცები მის წინააღმდეგ მოქმედებენ.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სუსში მასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული საქმეები დევს თაროზე. მათ ადრე თუ გვიან აუცილებლად დაუდებენ წინ.

– რა საქმე დევს სუსში თბილისის მერზე?

– მის ცოლისძმაზე დევს კომპრომატები. როგორც კი თბილისის მერი თავისუფლად თამაშს გადაწყვეტს, ამ დოკუმენტებს ეგრევე გამოამზეურებენ.

წესით, კალაძეს არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მას ამას ვერ გაუბედავენ. ეკა ბესელია ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირი იყო, მაგრამ ვნახეთ, როგორ დაუნდობლად მოექცნენ მას.

– ბესელია ამბობს, რომ მის წინააღმდეგ სკანდალური ფირები ნაციონალებმა გაავრცელეს.

– ნაციონალები აქ არაფერ შუაში არიან. მის წინააღმდეგ სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც ეს ქალი გუნდს დაუპირისპირდა. „ოცნების“ ლიდერი სასტიკად ვერ იტანს, როცა ვინმე მის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ან დამოუკიდებლად იწყებს მოქმედებას.

ბიძინა ივანიშვილს აქვს ასეთი სტილი – ვინც მისი თამაშის წესებით არ თამაშობს, ყველა შარში ეხვევა.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, ახლა მისი სამიზნე კახა კალაძეა. მან შეიძლება ეკა ბესელიას ბედი გაიზიაროს.

– რატომ ამოიღო მთავარმა მეოცნებემ კალაძე მიზანში? ეს ადამიანი დამოუკიდებლად დგამს რამე ნაბიჯებს?

– კახა კალაძე „ოცნებაში“ ერთადერთი გამონაკლისია, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია მოქმედება. ამისთვის მას გააჩნია მთავარი – საკუთარი ფინანსური რესურსები. ამის გარდა, ის ყველაზე მსხვილი საჯარო სექტორის – თბილისის მერიის მმართველია. დედაქალაქის მერიის ბიუჯეტი ლამის მილიარდ ლარს შეადგენს.

მერს ზურგს, საკუთარი ფინანსების გარდა, ბიუჯეტიდან მოპარული სახსრებიც უმაგრებს. ამ ფულით მას საკუთარი თამაშის წესების დამკვიდრება შეუძლია.

ეს ბიძინა ივანიშვილთან არ გაუვა. რამდენჯერაც რამეს გაბედავს, იმდენჯერ სკანდალში გაეხვევა. როგორც უკვე გითხარით, სუსს მის ცოლისძმაზე სერიოზული კომპრომატები აქვს.

– ცოლისძმა კალაძესთან რა შუაშია? „ოცნების“ ჩინოსნები საკუთარ დედებს აღარ თვლიან ოჯახის წევრად და კალაძე ცოლისძმას რატომ ვერ უარყოფს?

– სიამოვნებით უარყოფდა, მაგრამ არ გამოუვა. მთელმა საქართველომ იცის, რომ წლების წინ კალაძის ჩარევით დანიშნა ნარმანიამ უდიპლომო არეშიძე მერიის საქალაქო სამსახურის უფროსად. კალაძის გარეშე არეშიძე არაფერი იყო და მისი არსებობის შესახებაც კი არავინ იცოდა.

ასე რომ, თბილისის მერს არ გამოუვა ცოლისძმის უარყოფა. კალაძემ დაანიშვნინა ის ნარმანიას მაღალ თანამდებობაზე და კალაძეს მოუწევს პასუხისგება ყველა იმ გადაცდომაზე, რომლებიც არეშიძესთან არის დაკავშირებული.

ყველას ძალიან კარგად ახსოვს, თუ როგორ გადაურიცხა საქალაქო სამსახურის უფროსობისას მან საკუთარ ძმაკაცს ასეულობით ათასი ლარი. ეს სუსმაც კარგად იცის. სწორედ ეს საქმეა სუსში თაროზე შემოდებული და, როგორც კი ივანიშვილი მოითხოვს, ეგრევე განაახლებენ ამ საქმის გამოძიებას.

ბიძინას კვირიკაშვილის ჩაჩოჩება და ხაზარაძის გაჩერება რომ დასჭირდა, 10 წლის წინანდელი საქმე ამოუქექა თიბისი ბანკს.

„ქართული ოცნების“ შიგნით გარკვეულ პერსონებს ძალაუფლების გადანაწილების სურვილი აქვთ, მაგრამ პარტიის თავმჯდომარე მათ ამის უფლებას არ აძლევს. ის ცოცხალი თავით არ დათმობს პოზიციებს და წინ არავის, მათ შორის, კალაძეს, არ გაუშვებს.

– გარდა იმისა, რომ კალაძეს საკუთარი ფინანსები აქვს, ის დიდი შებერტყილი ვინმეცაა. ივანიშვილის საწინააღმდეგოდ ვითომ არაფერი ექნება თბილისის მერს?

– რაღაცები ალბათ ექნება, მაგრამ ყველა პარტიის ლიდერზეა ჩამოკიდებული. პარტიის წევრები ერთმანეთს ღიად მტრობენ, მაგრამ „ოცნებას“ არავინ ტოვებს. მათ ივანიშვილის ფულებთან განშორება არ სურთ.

კალაძეს შეიძლება აქვს რაღაცა ივანიშვილზე, მაგრამ ეს არაფერი იქნება იმასთან შედარებით, რასაც სუსი შეაგროვებდა მასზე ივანიშვილის დავალებით. სუსი ხომ ძირითადად ოპონენტების გაშავებაზე მუშაობს. შვილმოკლულ მამებს – ზაზა სარალიძესა და მალხაზ მაჩალიკაშვილს ისეთი სიბინძურეები მოუგონეს, ადამიანის გონება რომ ვერ მოიფიქრებს. მათთვის არც თბილისის მერის წინააღმდეგ იქნება ძნელი შავი პიარის აგორება.

– მის წინააღმდეგ უკვე აგორებენ შავ პიარს თუ ჯერ მხოლოდ გააფრთხილეს?

– რაც აქამდე იყო, ეს ჯერ გაფრთხილებაა მხოლოდ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევა კალაძე მომავალში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში „ოცნების“ ყველა წევრზეა კომპრომატები. ვისაც ზედმეტი მოუვა, ეგრევე გააჩერებენ.

ამ კომპრომატებს „ოცნების“ ლიდერი ახლა საგულდაგულოდ გადახედავს. წინ საპარლამენტო არჩევნებია და ყველას აქვს საპარლამენტო სიაში მოხვედრის პრეტენზია.

ამ პრეტენზიებს რაღაცნაირად მოთოკავენ. ივანიშვილი მათთვის არის ბელადი და ისიც კარგად იციან, თუ როგორ მთავრდება ბელადის ნების წინააღმდეგ წასვლა.

სხვებთან შედარებით, კალაძე მაინც რაღაცებს ბედავს და ეს შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

– მაინც რას ბედავს თბილისის მერი?

– საკუთარ თავს აპიარებს და ცდილობს, ყველაფერი სხვას გადააბრალოს. ყველაფერს თავის წინამორბედს, დავით ნარმანიას, აბრალებს. ამ დროს ავიწყდება, რომ პარტიის გენერალური მდივანია და ნარმანია დედაქალაქის მერი მისი უშუალო მონაწილეობით გახდა.

მერის ასეთი ქმედებები მიუთითებს იმაზე, რომ მას თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს და რაღაცისთვის ემზადება.

„ოცნებაში“ სხვა შიდა დაპირისპირებებიც მიმდინარეობს. მათი ამბები ნაკლებად მადარდებს. იმაზე ვწუხვარ, რომ ამ შიდა დაპირისპირებას ეწირება ქვეყნის ინტერესები.

ყველა სახელისუფლებო ინსტიტუტი ჩამოშლილია. გაზრდილია კრიმინალი. რუსი ოკუპანტები ქართულ მიწებს იტაცებენ, ხელისუფლება კი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობს მხოლოდ.

„ალფეევი თბილისში თუ ჩამოვა, მძიმედ დაველაპარაკები“

მეუფე იაკობი რუსეთის პატრიარქის მარჯვენა ხელს დაემუქრა

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ რუსეთის ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მღვდელმთავარი, ილარიონ ალფეევი, საქართველოს ღიად დაემუქრა. ამ ვაჟბატონმა საჯაროდ განაცხადა, რომ თუ საქართველო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას მხარს დაუჭერს, რუსეთის ეკლესია აფხაზეთსა და ცხინვალს აღიარებს.

რუსეთის საერო ხელისუფლებისგან განსხვავებით, საპატრიარქო სოხუმსა და ცხინვალს საქართველოს ნაწილად თვლის, რაც მხოლოდ ფორმალობაა, რადგანაც უკვე დიდი ხანია, რაც ოკუპირებულ რეგიონებში სასულიერო პირებს რუსეთის პატრიარქი ამწესებს. ქართველი სასულიერო პირები იქ ვერ ჩადიან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ილარიონ ალფეევი წლების წინ საქართველოს პატრიარქის სტიქაროსანი იყო. საუბარია იმ პერიოდზე, როცა ილია II აფხაზეთის ეპისკოპოსი იყო.

ამის ამსახველი ფოტო ამ დღეებში სოციალურ ქსელში გამოჩნდა. ფოტოზე ალფეევი ძალიან მოკრძალებულად გამოიყურება. იმ ფოტოს გადაღებიდან მრავალმა წყალმა ჩაიარა და ალფეევიც დიდი კაცი გახდა. იმდენად დიდი, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებით იმუქრება.

მართალია, ალფეევის ეს განცხადება თავგასულობის ზენიტი იყო, მაგრამ მისთვის პასუხის გაცემა ვერც საქართველოს ხელისუფლებამ გაბედა და ვერც საპატრიარქომ.

რუსეთში პატრიარქ კირილის მერე ყველაზე გავლენიან სასულიერო პირს საქართველოში ბუზს ასე მარტივად ვერ აუფრენდნენ.

მდუმარების დარღვევა და ილარიონისთვის საკადრისი პასუხის გაცემა მხოლოდ ბოდბელმა ეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა გაბედა. ყველაზე გავლენიანი ქართველი მღვდელმთავარი ალფეევს თბილისში ჩამოსვლის შემთხვევაში საკადრისი პასუხის გაცემას ჰპირდება და მას ეშმაკის მსახურს უწოდებს.

ქორეპისკოპოსი იაკობი რუსეთის საპატრიარქოს ენის მოჩლექით არასდროს ელაპარაკებოდა. ალბათ ესეც არის იმის მიზეზი, რომ ის ერთადერთია, ვისაც რუსეთის ტერიტორიაზე არ უშვებენ.

ილარიონ ალფეევზე გაცხარებულმა ქორეპისკოპოსმა რუსთავი 2-თან საუბარში აღიარა, რომ ის ერთადერთი ქართველი ეპისკოპოსია, რომელიც რუს სასულიერო პირებს წირვაზე არ აყენებს.

მოსკოვში ეს კარგად იციან და მის მიმართ აგრესია ბოლო განცხადებების შემდეგ კიდევ უფრო გაეზრდებათ. ბოდბელმა ეპისკოპოსმა რუსეთის პატრიარქის მარჯვენა ხელი კლოუნსა და ჟირინოვსკის პარტიის წევრს შეადარა.

– ჩვენმა მასმედიამ როცა დაწერა ის სიტყვები, მე მეგონა, ან ჟირინოვსკიმ თქვა, ან ჟირინოვსკის პარტიამ. სამარცხვინოა, თან საგარეო ის რომ აბარია. მაგენი ვერ შეეშვნენ იმას რა, როგორც იყვნენ ძველად ოპერპროკურორების იმის ქვეშ, მერე კაგებეს ქვეშ იყვნენ, ახლა ფსბ-ს და გრუ-ს და იმის ქვეშ არიან.

თბილისში თუ ჩამობრძანდა, მაგას ქართულად ცოტა მძიმედ დაველაპარაკები რა, ვიღაცა ალფაევი ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენს. ერთადერთი ეპისკოპოსი ვარ საქართველოს ეკლესიაში, რომელიც რუსებს წირვაზე არ აყენებს. მაგი კარგად იცოდეთ. შოვინიზმი და ყველაფერი იყო მაგასთან. არავითარი ქრისტიანული მაგასთან არ იყო, როცა ლაპარაკობდა მაგას. ამიტომ მე შეურაცხყოფილი არ დავრჩები, იმიტომ რომ უტვინო განცხადება გააკეთა როგორც ყოველთვის, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

რუსთავი 2-თან საუბარში ქორეპისკოპოსმა იაკობმა მიტროპოლიტ ილარიონის წარსული გაიხსენა და აღნიშნა, რომ სანამ ის რუსეთში გაემგზავრებოდა, აფხაზეთში პატრიარქის სტიქაროსანი იყო.

– სანამ პატრიარქის სტიქაროსანი გახდებოდა აფხაზეთში, ქართული ასწავლა, მეუფე ანანიასთან ვსაუბრობდი მაგ თემაზე რა, მორჩილი იყოო რა, ისეთი იყოო, მერე მე ვასწავლეო ქართულიო.

მნიშვნელობა არ აქვს, სტიქაროსანი, მღვდელი, შეიძლება, მოღალატე გახდეს. როდესაც ნაციონალისტ რუსებთან ნაციონალისტს და შოვინისტს ეხება საქმე, იქ ღვთის მადლი აღარ მოქმედებს რა. იქ მოქმედებს სხვადასხვა იმითი რა. ეშმაკისგან მოქმედებენ თუ ვისგან მოქმედებენ, ღმერთისგან არ არიან, – აღნიშნა ბოდბელმა ეპისკოპოსმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნუკრი ქანთარია: „უმრავლესობის დაშლის საფრთხე არსებობს“

„ბეწვის ხიდია გასავლელი, წონასწორობის დაცვაა საჭირო“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ გუნდში მიმდინარე მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, ვიცესპიკერი ჩუგოშვილი აცხადებს, რომ თუ ეს ადამიანები მაინც დაინიშნებიან უვადოდ უზენაეს სასამართლოში, ის ველარ ხედავს თავის თავს ვერც ამ პოლიტიკურ ველზე და ვერც პარტიაში. თქვენ რა შეგიძლიათ გვითხრათ, მოვლენები შეიძლება ამ მიმართულებით განვითარდეს?

– ამაზე ჯერ ადრეა საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საკითხი იქნება ძალიან დიდი წყალგამყოფი. როდესაც ახალი სია შემოვა, იქ გამოჩნდება ყველაფერი. ჩვენი მიზანია, უზენაეს სასამართლოში უნაკლო რეპუტაციისა და პროფესიული წარსულის ადამიანები მოხვდნენ.

ყველას შეეძლება, მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შემდეგ 18-კაციანი სია გადმოიგზავნება პარლამენტში, დეპუტატებს კი შეგვეძლება, ინდივიდუალურად მივიღოთ გადაწყვეტილება. შეიძლება, ამ სიიდან მხოლოდ ერთი ან ორი გავიდეს ან საერთოდ 18-ვე კანდიდატი ჩააგდოს პარლამენტმა. ეს ყველაფერი კანდიდატებზე იქნება დამოკიდებული.

ეს პროცესი გამჭვირვალე იქნება, საზოგადოების თვალწინ მოხდება ყველაფერი, აქ დამალული ვერ იქნება ვერაფერი.

– ასე ფიქრობთ?

– მიუხედავად ამ ყველაფრისა, თუ რაღაც სხვას ექნება ადგილი, მაშინ, ცხადია, ყველა მივიღებთ გადაწყვეტილებას და ალბათ ეს იგულისხმა თამარ ჩუგოშვილმაც. მაშინ, რასაკვირველია, ის მართალი იქნება.

– არსებობს ინფორმაცია, რომ ჩინჩალაძე და გვრიტიშვილი აღარ იქნებიან სიაში, მაგრამ სია მათ მიერ იქნება შედგენილი.

– არა, სიას ჩინჩალაძე უკვე ველარ დაწერს! შეიძლება, ვიღაცები მაინც მოხვდნენ ამ სიაში, მაგრამ თითოეული მათგანის განხილვა ხომ იქნება პარლამენტში, აქ უკვე ველარ გავლენ ისინი. ვერავინ ვერ წაუვა მათ ხარვეზიან პროფესიულ ბიოგრაფიას, მე ეს მაძლევს იმედს. საბოლოო სიტყვას ჩვენ ვიტყვით და არა – ისინი. ვნახოთ. ახლა საბოლოო პროცესს უნდა დაველოდოთ და მე ეკასაც, გედისაც ვთხოვდი, არ იჩქარონ გადაწყვეტილების მიღება.

– მათ პარტია არ დაუტოვებიათ, მაგრამ, იმ ფონზე, რაც ხდება, შესაძლებელია ამ ადამიანების უკან მობრუნება?

– რატომაც არა. პარტიის თავმჯდომარეს მათთვის არ უთქვამს, რომ პარტია უნდა დატოვონ. ვითარებამ მოიტანა, რომ მათ გაუჩნდათ ასეთი ფიქრი და ამ ფიქრებს აქვს საფუძველი. ასეთი ფიქრი შეიძლება მართლაც გაუჩნდეს ადამიანს, მეც მქონდა ადრე და ახლაც ვფიქრობ, მაგრამ მაინც უმჯობესია, დაველოდოთ, საბოლოოდ რა მოხდება.

გადაწყვეტილება ცხელ გულზე არ უნდა მივიღოთ, ამას ვამბობ. დაველოდოთ ამ ეპიზოდს და ყველაფერი გამოაშკარავდება.

– ეს ეპიზოდი გუნდში ბევრისთვის შეიძლება, წყალგამყოფი იყოს?

– ბუნებრივია. ჩვენ მთელი ქვეყანა გვიყურებს და ახლა ეს ხალხი რომ ავირჩიოთ, რომლებსაც საზოგადოების ნდობა არ აქვთ, რა თქმა უნდა, ეს არის წითელი ხაზი. ამ ფონზე გაპარება არ გამოვა. ეს უკვე თითოეული დეპუტატის პასუხისმგებლობაა. პროცესი კი უნდა დამშვიდდეს და რაციონალურ კალაპოტს დაუბრუნდეს.

– მოსამართლეების 2024 წლამდე უვადოდ დანიშვნის გადავადებას ემხრობით?

– ასეთი კანონპროექტი 9 დეპუტატის მიერ უკვე შემოტანილია. ერთი მხრივ, ვეთანხმები, რომ ეს შეიძლება იყოს მისაღები, მაგრამ, მეორე მხრივ, არის კითხვები, რამდენად იქნება სწორი და ა.შ. თუმცა შეიძლება გამოსავალი იყოს ამ შემთხვევაში ქვედა ინსტანციებში.

– საზოგადოებას ბიძინა ივანიშვილის ღია პოზიცია ამ საკითხზე არ მოუსმენია. როგორი იყო მთელი ამ შეხვედრების განმავლობაში მისი დამოკიდებულება, განწყობა?

– პირველ-მეორე შეხვედრაზე, გახსოვთ, ვთქვი, ქრესტომათიაში შესატანი მასტერკლასი ჩაატარა-მეთქი. შემდეგ და შემდეგ უკვე გარკვეული ცვლილებები იყო ჩემთვის არასახარბიელო, მთლიანობაში, ატმოსფეროს თვალსაზრისით, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს მკვეთრი პოზიცია – ამას ვემხრობი და ამას არა – არ გამოუხატავს.

ის გვეთანხმება, რომ კრიტერიუმების შემდეგ ყველამ ჩვენი პასუხისმგებლობით მივიღოთ გადაწყვეტილება. მისი პოზიციაა, ინსტიტუტი არ დაზიანდეს და ამაში ვეთანხმები.

– არჩილ თალაკვაძემ კი თქვა, რომ საპარლამენტო უმრავლესობას საფრთხე არ ემუქრება და ის არ დაიშლება, მაგრამ, თუ მოვლენები ასე განვითარდა, შეიძლება, უმრავლესობა დაიშალოს?

– კი, რა თქმა უნდა! ყველაფერია მოსალოდნელი. დღეს შეიძლება არა, მაგრამ ხვალ და ზეგ შეიძლება ასე მოხდეს. ამიტომ არის ბეწვის ხიდი გასავლელი, წონასწორობის დაცვაა საჭირო. ეს იმ დაპირებების შესრულებაშიც უნდა გამოიხატოს, რომლებიც საზოგადოებას მივეცით თუნდაც არჩევნების პირველსა და მეორე ტურს შორის.

ეს ეხება საპარლამენტო პოზიციების გადანაწილებასაც, საკადრო საკითხებსაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, იმავე სტრატეგიასა და სხვა საკითხებსაც.

მე, მაგალითად, ამას ველოდები და არც ის დაპირება დამვიწყებია, რომელიც ხალხს ამ მიმართულებით მივეცით.

კობა ნარჩემაშვილმა და ბექა ნაცვლიშვილმა, შესაძლოა, უმრავლესობა დატოვონ

დავით ჭიჭინაძე: „დეპუტატებს ირაკლი კობახიძის ატანა აღარ აქვთ“

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობაში პოლიტიკური ვნებათაღელვა გრძელდება. მმართველ პარტიაში უკმაყოფილო დეპუტატების რაოდენობა ყოველდღე იზრდება.

იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ეკა ბესელია პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შეჩერებას ითხოვს.

კანონპროექტს ხელს აწერს 9 დეპუტატი. მათ შორის არიან ზვიად კვაჭანტირაძე, ალექსანდრე ერქვანია, გედევან ფოფხაძე, კობა ნარჩემაშვილი, ლევან გოგიჩაიშვილი, ლევან კობერიძე, დავით ჭიჭინაძე.

– შეჩერდეს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა. პარალელურად დავიწყოთ ორგანულ კანონზე მუშაობა და სამართლებრივად მოწესრიგდეს ის ნორმები, რომლებიც ეხება მოსამართლეთა დანიშვნას. ამ ინიციატივას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მას ჩვენს კოლეგებს ვთავაზობთ და, იმედია, უმრავლესობა მხარს დაუჭერს, – აცხადებს ეკა ბესელია.

საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებით იმუქრება ბექა ნაცვლიშვილი. ის „ოცნებას“ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ მოსამართლეების საკითხი ისე არ გადაწყდა, როგორც ეს მეამბოხე დეპუტატებს სურთ. ნაცვლიშვილის ულტიმატუმი საპენსიო რეფორმასაც ეხება. ის ამბობს, რომ საპენსიო რეფორმა მისი მნიშვნელობით მოსამართლეების უვადოდ გამწესების საკითხს არ ჩამოუვარდება.

– ორი საკითხი დგას დღის წესრიგში, რომელიც არის ჩემთვის წყალგამყოფი – ეს არის მოსამართლეების საკითხი, რომელიც განიხილება ცოტა უფრო გვიან და მეორეა საპენსიო რეფორმის საკითხი. საპენსიო რეფორმის საკითხი არის ერთ-ერთი ფუნდამენტური, მხარდაჭერა თუ არ მექნება, ე.ი. ჩვენ შორის არის ძალიან დიდი ღირებულებითი განსხვავება. საპენსიო რეფორმას თუ არ დაუჭირეს მხარი, მე მივიღებ გადაწყვეტილებას, რომ დავტოვო უმრავლესობა, – განაცხადა ბექა ნაცვლიშვილმა.

„ოცნების“ წევრი და ყოფილი შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი მიიჩნევს, რომ

გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული.

ასეთი განცხადება კობა ნარჩემაშვილმა ბესელიას საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით გააკეთა.

– კონსტიტუციაში არის გარდამავალი დებულება, როცა პირველად გამწესების შემთხვევაში არის საშუალება იმისა, რომ სამი წლით დაინიშნოს გამოსაცდელი ვადა და ამის შემდეგ გადაწყდეს პიროვნების უვადოდ გამწესება. ჩვენ გვინდა, რომ, მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, წმინდა სამართლებრივ ჭრილში 2024 წლამდე ეს პროცესიც გადავავადოთ. აქ არ არის საუბარი პოლიტიკურ კონტექსტზე, – აღნიშნა ნარჩემაშვილმა.

მეამბოხე დეპუტატების ფლანგს დაუახლოვდა პარლამენტის ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი. „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი წითელი ხაზების გადაკვეთაზე ალაპარაკდა. ჩუგოშვილი ამბობს, რომ თუ მისი მოლოდინები არ გამართლდა, ვნახავთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს:

– მაქვს მოლოდინი, რომ პროცედურები, რომლებიც დაიწერება პარლამენტის მიერ, იქნება ღია, გამჭვირვალე და კონკურენტული შერჩევის პროცესის საფუძველი. მაქვს სრული მოლოდინი, რომ მოსამართლეები, რომლებიც დაინიშნებიან, იქნებიან მაქსიმალურად საუკეთესონი. ამ ეტაპზე მთლიანად ამაზე ვარ ორიენტირებული.

არ მინდა ლაპარაკი შიდა დაპირისპირებაზე, კონფლიქტებზე და ა.შ. დროის ხარჯვაა იმიტომ, რომ ეს პროცესია მნიშვნელოვანი, რომელიც საკმაოდ ხმაურიანი, მძიმე აღმოჩნდა, რომ ეს სიმძიმე გამოიწვია იმ ფორმამ, რა ფორმითაც იუსტიციის საბჭომ სია შემოგვთავაზა. გვინდა, ეს პროცესი დასრულდეს იმ შედეგით, რა შედეგიც ჩვენს ქვეყანას აწყობს. თუ არ გამართლდა ჩემი მოლოდინი, მერე ვნახავთ, რა გადაწყვეტილებას მივიღებ.

უმრავლესობის სხდომაზე გამართული დისკუსია, განწყობები მიმართულია იქითკენ, რომ პროცესი წავიდეს სიტუაციის განმუხტვისკენ, სწორი და კარგი კანონის შექმნისკენ. სასამართლო რეფორმის თემა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საკითხი ჩემთვის არის ყველაზე პრინციპული. მართლმსაჯულების საკითხია ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩემ წინაშე შეიძლება დადგეს. შესაბამისად, ჩემთვის შესაძლებელია, წითელი ხაზები სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით დადგეს. წასვლა მარტივია, რთულია დარჩენა და საქმის გაკეთება. ვიღაც უნდა დაჯდეს და საქმე გააკეთოს. მე ჩემს ვალდებულებას სწორედ ამ ნაწილში ვხედავ, – ამბობს პარლამენტის ვიცესპიკერი.

ვიცესპიკერის ამ განცხადებას დეპუტატი დავით ჭიჭინაძე ირაკლი კობახიძეს უკავშირებს.

ისნის მაჟორიტარის განცხადებით, პარლამენტის წევრები უკვე დიდი ხანია, რაც პარლამენტის თავმჯდომარეს ითმენენ.

– ღირებულებებში სცდებიან ეს ადამიანები ერთმანეთს და გუშინდელი განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაც მე განვაცხადე ზაფხულში, რომ ჩვენ გაგვაჩნია თმენის ვალდებულება, რომ ირაკლი კობახიძეს ვითმენთ. ეს ნელ-ნელა დასტურდება. ძალიან ბევრს ამ თმენამ ზღვარი გადაუჭარბა და, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ ამ განცხადებებს, – განაცხადა უმრავლესობიდან მოკვეთილმა ჭიჭინაძემ.

გიორგი ტუღუში: „სიღარიბეს ვერც ერთი კოდექსი ვერ დაძლევს!“

ლელა მდივანი

ბავშვთა უფლებები საქართველოში მაღე ახალი კოდექსის მიხედვით იქნება დაცული. კოდექსის პროექტზე, რომელიც პარლამენტს 4 თებერვალს წარედგინა, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად, გაეროს ბავშვთა ფონდმაც იმუშავა.

პროექტის ძირითადი საკითხები ბავშვთა მიმართ ძალადობას, ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრას, ბავშვებს შორის ძალადობასა და ბავშვთა გამოხატვის თავისუფლებას ეხება.

თუ რატომ გახდა საჭირო მსგავსი პროექტის შემუშავება და როდის მიიღებს სრულ სახეს აღნიშნული კანონპროექტი, ამაზე უფრო ვრცლად „ახალ თაობას“ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი „ევროპული საქართველოდან“ გიორგი ტუღუში ესაუბრა.

გიორგი ტუღუში:

– ამ კოდექსის საბოლოო დანიშნულება არის ის, რომ ერთ საკანონმდებლო აქტში იყოს თავმოყრილი ნორმები, რომლებიც უკავშირდება ბავშვებს, მათი უფლებების დაცვასა და, ზოგადად, მათთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის რეგულირებას, გარდა ამისა, რა თქმა უნდა, შესულია რამდენიმე სხვა პოზიტიური სიახლეც.

– როდის მიიღეთ ამ კანონპროექტის შექმნის გადაწყვეტილება და რატომ დადგა მისი შემუშავების საჭიროება?

– უკვე რამდენიმე თვეა, ბავშვთა კოდექსზეა საუბარი. ეს არის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი, თუმცა, ასე ვთქვათ, ოფიციალურად ჯერ არ გამოჩენილა. სამუშაო პროექტი არსებობს და მასში თავმოყრილია ნორმები, რომლებიც უკავშირდება ზოგადად ბავშვებს, ბავშვთა უფლებებს ასე ვთქვათ, ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივ რეგულირებას. მათ შორის, ბავშვთა მიმართ ძალადობის თემასაც მოიცავს. რა თქმა უნდა, დასჯადი ხდება ამ კოდექსის ნებისმიერი ფორმით ფიზიკური ძალადობა ბავშვზე, მისი ფიზიკური დასჯა. გარდა ამისა, მასში არის თავმოყრილი ისეთი სიახლეები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, სპეციალიზებულ ადვოკატს, არის საუბარი ასევე სოცმუშაკებზე, რომლებიც უნდა იყვნენ სპეციალიზებულები ბავშვთა საკითხებში და ა.შ. არსებობს შენიშვნები ამ პროექტის მიმართ, თუმცა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ამბობენ, რომ უკვე გადამუშავებულია. მეორე ვერსია გაცილებით გაუმჯობესებულია, ვიდრე პირველადი ვარიანტი იყო და ამ კოდექსის საბოლოო დანიშნულება არის ის, რომ ერთ საკანონმდებლო აქტში იყოს თავმოყრილი ნორმები, რომლებიც უკავშირდება ბავშვებს, მათი უფლებების დაცვასა და, ზოგადად, სხვადასხვა საკითხის რეგულირებას. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, შემოსულია რამდენიმე სხვა პოზიტიური სიახლეც.

რაც შეეხება იმას, რომ ეს კოდექსი ყველა პრობლემას გადაჭრის, რაც ბავშვებს უკავშირდება, ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ძალიან დიდ გამოწვევად რჩება ქვეყანაში ასევე სიღარიბე, ბავშვთა სოციალური მდგომარეობა, ბავშვთა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უკავშირდება მათ განათლებას თუნდაც, მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ ამ კოდექსის მიღება, საბოლოო ჯამში, პოზიტიურად აისახება ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, თუმცა, ისე ნუ ვიტყვით, რომ ბავშვთა უფლებები კანონით აქამდე დაცული არ იყო. ასე არ არის. თუმცა, კოდექსი, რა თქმა უნდა, თავს მოუყრის ამ ნორმებს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დავით ზურაბიშვილი: „ბესელიამ ივანიშვილს საქმე ჩაუშალა... „ოცნება“ ჩინჩალაძის კლანს დაამტკიცებს“

„ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ დაემსგავსა, სააკაშვილი ყველას რუსეთის აგენტს ეძახდა, ივანიშვილი – „ნაციონალს“

იაგო ნაცვლიშვილი

6 თებერვალს „ქართული ოცნების“ ოფისში საპარლამენტო უმრავლესობის მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი უძღვებოდა. როგორც ჩანს, შეხვედრაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ვერ შეჯერდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებენ. ლევან გოგიჩაიშვილმა კი თქვა, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს და მას მაშინ გამოაცხადებს, როცა საჭიროდ ჩათვლის.

იწყება თუ არა „ქართული ოცნების“ დაშლა და რა შანსები არსებობს სასამართლო ხელისუფლების გასაჯანსაღებლად? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ზურაბიშვილი** საუბრობს.

– როგორ შეაფასებთ იმ პროცესს, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარეობს, რასთან გვაქვს საქმე? მიდის თუ არა პროცესი „ქართული ოცნების“ დაშლისკენ?

– არა. არა მგონია, რომ დაშლის მაგვარი ემუქრებოდეს. „ქართული ოცნება“ არ არის და არც არასდროს ყოფილა რაღაცა ღირებულებებსა და იდეალებზე დაფუძნებული და ამით შეკრული პარტია. უბრალოდ, ეს არის ბიძინა ივანიშვილის გუნდი. თვითონაც გუნდს ეძახიან და მათ შიდა ლექსიკაშიც უფრო ხშირად გუნდი გამოიყენება, ვიდრე პარტია. ეს არის გუნდი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის სამოქმედო არეალს ემსახურება, მეტი არაფერი.

ვინც მისი ნების წინააღმდეგ წავა, გუნდიდანაც გავა, მის ადგილას კი მიიღებენ სხვას. აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რა შეხედულებებს იზიარებს. ეს ამ გუნდში საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი.

– ეკა ბესელია საუბრობს ღირებულებებსა და ფასეულობებზე. რატომ წამოიწია ამ თემამ მაინცდამაინც ახლა? გვახსოვს, რომ იგივე პოზიცია აქამდე არ გამოუხატავს. სხვათა შორის, უსუფაშვილმა თქვა, რომ „რესპუბლიკელებსა“ და „ოცნებას“ შორის წყალგამყოფი სასამართლოს თემა გახდა. ხიდაშელმა კი თქვა, რომ ივანიშვილი მურუსიძის მხარდაჭერას გთხოვდათ. ასეა?

– ეგეთი რაღაცა ჩემთვის არ უთხოვიათ. ჩვენ არც ერთ ვარიანტში არ დავუჭერდით მაგას მხარს. უბრალოდ, ეს ასეა, თუ ბიძინა ივანიშვილთან ხარ, გადაწყვეტილებებს იღებს ის. შენ რა თანამდებობაც არ უნდა გეკავოს, არ გაქვს იმის უფლება, რომ მიიღო რაღაც ტიპის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, მით უმეტეს, საჯაროდ დააფიქსირო შენი აზრი, რომ არ ეთანხმები მის გადაწყვეტილებას. შეიძლება, მას უთხრა, რომ ეს მომწონს და ეს არ მომწონს, მაგრამ, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, მერე ეს გადაწყვეტილება განხილვას არ ექვემდებარება.

ამ შემთხვევაში ბესელიამ ეს მომენტი დაარღვია. რა თქმა უნდა, ბესელიასა და მის გუნდს უფრო მეტად სხვა მოტივები აქვთ. მათ ეგონათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი ფსონს უფრო „ძველ გვარდიაზე“ დადებდა. „ოცნების“ უფრო მეტად გამოცდილ ნაწილზე, ძველ „ოცნებაზე“. მათ გაუწევდა მეტ ანგარიშს, მოსამართლეების შერჩევა იქნებოდა ეს თუ სხვა საკითხი.

ამ ხალხს სასამართლოს დამოუკიდებლობა და რეალურად რომ მართლმსაჯულების საკითხები ანაღლებდეს, სხვანაირად მოიქცეოდა. გვახსოვს ე.წ. კაბელების საქმე, რუსთავი 2-ის საქმე. ძალიან ბევრი სკანდალური საქმე იყო და იქ რატომ არ ამოუღიათ ხმა, საინტერესოა. იქ ძალიან გულმოდგინედ იცავდნენ ხელისუფლების პოზიციას.

– ახლა როგორ წარმოგიდგენიათ პროცესი და როგორ ფიქრობთ, რატომ არ იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას?

– კარგად ხვდებიან, რომ დამოუკიდებლად მაინცდამაინც პერსპექტივები არ აქვთ და ურჩევნიათ, დარჩნენ ივანიშვილის მფარველობის ქვეშ და იქნებ რაღაც პოზიცია დაიკავონ. მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ეს შეუძლებელია. ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ არა მგონია, ივანიშვილმა მათ ეს აპატიოს, როდესაც პრაქტიკულად აწყობილი საქმე მას ჩაუშალეს. ბესელიამ მას აწყობილი საქმე ჩაუშალა. კომიტეტის სხდომა არ მოიწვია, თორემ ეს მოსამართლეები აქამდე იქნებოდნენ დანიშნულები და დამთავრებული იქნებოდა ეს პროცესი. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი პროცესს ასე უყურებს. ამიტომ ის ამას არ შეარჩენს.

– გარკვეულწილად, ბესელიას განცხადება ულტიმატუმადაც ხომ არ უნდა აღვიქვათ „ოცნების“ და არა ივანიშვილის მიმართ?

– არა. ხომ ხედავთ გუნდის დანარჩენი წევრების რიტორიკას?! თავიდან უფრო მეტი ლაპარაკობდა მოსამართლეების მიუღებლობაზე. ახლა დარჩნენ ბესელია, გოგიჩაიშვილი და ფოფხაძე. 3 ადამიანია, რომლებმაც პოზიცია არ შეცვალეს. დანარჩენებმა ყველამ შეარბილეს და დაიწყეს მიკიბვ-მოკიბვები.

– გგონიათ, რომ მხარს დაუჭერენ?

– რა თქმა უნდა. შესაძლოა, 1-2 გვარი გამოცვალონ ოდიოზური ფიგურებიდან, მაგრამ ძირითადად იმ გუნდისა და ჩინჩალაძის კლანის სია რომ იქნება, მაგას ბევრი მსჯელობა არ უნდა. ეჭვი არ მეპარება ამაში და, რა თქმა უნდა, დაუჭერენ მხარს. ოღონდ ეს ცოტა გვიან მოხდება.

– პროცესს დროში გაწელავენ?

– არა, უბრალოდ, კენჭისყრამდე შეარჩევენ ვითომ კრიტერიუმებს, რაღაცა მსჯელობა იქნება, განიხილავენ რაღაცებს, მერე იტყვიან, გუნდში რაღაცებზე შევთანხმდით და ბოლოს მაინც იმას მივიღებთ, რაც მათ სურთ.

– ოპოზიციას, სამოქალაქო სექტორსა და საზოგადოებას რისი გაკეთება შეუძლია? თუ არსებობს რაიმე ბერკეტი ამ პროცესის შესაჩერებლად?

– არანაირი ბერკეტი არ არსებობს, გარდა არჩევნებში ხელისუფლების დამარცხებისა. ეს არის ერთადერთი ქმედითი ბერკეტი. მანამდე, შეიძლება, რაღაცა სამოქალაქო აქტივობებითა და პროცესებით დავამუხრუჭოთ, შევარბილოთ, მაგრამ არსებითად ვერ შევცვლით. ეს სიტუაცია შეიცვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიცვლება ეს ხელისუფლება. ამ ხელისუფლების შეცვლა არ არის პანაცეა. ხელისუფლების შეცვლა არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. გააჩნია, როგორ შეიცვლება, რანაირად და რა ძალაუფლება ექნება მერე. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ ხელისუფლების პირობებში არაფერი შეიცვლება სასიკეთოდ.

– თქვენ სასამართლოებთან დაკავშირებულ პროცესს პირადად ბიძინა ივანიშვილს უკავშირებთ?

– არა, მე კი არ ვუკავშირებ, ასეა. მე გინდა დავუკავშირო, გინდა არა, ამას არ აქვს მნიშვნელობა. პარტიის პოლიტსაბჭოს განცხადებას გაეცნობოდით, პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილია და, ბუნებრივია, ეს მისი აზრია, რომ სასამართლო ხელისუფლებას ებრძვის „ნაცმოძრაობა“ და მასთან აფილირებული პარტიები. მოკლედ, ვისაც არ მოსწონს მოსამართლეების ეს სია, ყველა „ნაციონალები“ ვართ. ეს მისი პოზიციაა.

– რა რიტორიკაა ეს? ამ მხრივ „ნაცმოძრაობის“ რიტორიკას – „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ ხომ არ დაემსგავსა?

– ამ თვალსაზრისით ნამდვილად ჰგვანან ივანიშვილისა და სააკაშვილის ხელისუფლებები ერთმანეთს. იგივე იმ მხრივაც, რომ მათი ძალაუფლება ან აბსოლუტური უნდა იყოს და სრული, ან საერთოდ არ უნდა იყოს. ორივეს აქვს ან „ყველაფრის, ან არაფრის“ პოლიტიკა. ვინც მათ არ ეთანხმება, ყველა მტერია. სააკაშვილისთვის ყველა რუსეთის აგენტი და რუსეთის ინტერესების გამტარებელი იყო, ივანიშვილისთვის „ნაციონალია“. თუ „ნაციონალი“ იყო და „ოცნებაში“ გადავიდა, ეს არაფერია. ადრეც ასე იყო, ახლაც ასეა. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

– ირაკლი კობახიძის განცხადებებიც შეაფასეთ. ხმაურიანი განცხადებები აქვს ხოლმე და ასე იყო ამ შემთხვევაშიც.

– ირაკლი კობახიძის კვალიფიკაცია ძალიან დაბალია. ის ცდილობს, ასიამოვნოს უფროსს, მისი პარტიის ხელმძღვანელს, მისი მოსაზრებები შეფუთოს ლამაზად, სინამდვილეში, გამოსდის უარესად, არ აქვს პოლიტიკური კვალიფიკაცია და მეტი პოლიტიკური კლასი. კობახიძე კი არა, ტალიავინი და მსოფლიო დიპლომატი რომ ჩამოიყვანონ, ის ვერ შეფუთავს ამ გადაწყვეტილებებს. შეუძლებელია ეს.

– გგონიათ, რომ კობახიძე თავად იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს თუ დავალებებს იღებს?

– არა, გადაწყვეტილებებს ეგ არ იღებს. უბრალოდ, მან უნდა გაამართლოს ის, რა გადაწყვეტილებაც მიღებული აქვთ ერთობლივად. ეს ხომ მმართველი გუნდის პოლიტიკაა. უბრალოდ, ვერ ახმოვანებს ისე, რომ ხალხის გული მოიგოს. დარწმუნებული ვარ, ამის გამო, საბოლოო ჯამში, ბიძინა ივანიშვილის გულისწყრომას გამოიწვევს, თუმცა, ჯერჯერობით უგებენ. არჩევნების დროს როგორ იქნება საქმე, ეს უკვე არ ვიცი.

გიორგი ტუღუში: „სიღარიბეს ვერც ერთი კოდექსი ვერ დაძლევს!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– თქვენ თქვით, რომ ეს კანონ-პროექტი გადამუშავების პროცესშია. რა დრო დასჭირდება მის სისრულეში მოყვანას?

– მე ვფიქრობ, რომ ძალიან მალე დაიწყება უკვე მისი განხილვა, იმიტომ რომ, გარკვეულწილად, ბოლო სტადიებზეა მისული და ამის შემდეგ უკვე ჩვენც გვექნება როგორც გარკვეული შენიშვნები მის მიმართ, ასევე, არ დავუკარგავთ იმ პოზიტიურ მხარეებს, რომლებიც ამ კოდექსს გააჩნია.

– უკვე შემუშავების შემდეგ რა შედეგებს უნდა ველოდოთ, თუნდაც სხვა ქვეყნების მაგალითზე რომ გვითხრათ.

– ამ კოდექსზე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს მუშაობა და პირველ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ჰქონდათ გამოთქმული გარკვეული წინადადებები და შენიშვნები, ისევე, როგორც არასამთავრობო სექტორს და, როგორც ვიცი, მათი ნაწილი აისახა კიდეც კოდექსში.

– დასაწყისში თქვენც ახსენეთ, რომ დიდ პრობლემად რჩება ასევე ბავშვთა სიღარიბეც. ამაზე პარლამენტის თავმჯდომარემაც თქვა, არ დავიშურებთ ძალისხმევას ბავშვთა სიღარიბის პრობლემის დასაძლევად და უკვე ვდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს აღნიშნული მიმართულებითო. რა ნაბიჯებზეა საუბარი?

– ჩვენი ხელისუფლებისგან ყოველდღიურ რეჟიმში ვისმენთ იმას, რომ რეალურად უნდა მოხდეს სიღარიბესთან ბრძოლა, თუმცა, სამწუხაროდ, რაც ვაკვირდებით ბოლო რამდენიმე წელი, ეს არის ის, რომ ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობა უარესდება და მათ შორის, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ეკონომიკაში არსებულ პრობლემებზე, ეს აისახება როგორც ზრდასრულ ადამიანებზე, ასევე, პირველ რიგში, ბავშვებზე და, შესაბამისად, გასაგებია, რომ ყველა ხელისუფლება აცხადებს იმას, რომ უნდა დაძლიოს სიღარიბე, თუმცა ჩვენ შედეგი გვჭირდება და ასევე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, რომელიც პროგნოზებშია მოცემული, თუ რამდენი პროცენტით გაიზრდება წელს საქართველოს ეკონომიკა. ნამდვილად არ არის დამაიმედებელი და იმის მაჩვენებელი, რომ სიღარიბის კუთხით არსებითი გაუმჯობესება იქნება. აქედან გამომდინარე, ვერც ერთი კოდექსი სიღარიბეს ვერ დაძლევს, ქვეყანას სჭირდება ეკონომიკური ზრდა, ინვესტიციები და, შესაბამისად, ეს ამის შემდეგ უნდა აისახოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, ბავშვების სოციალურ მდგომარეობაზე.

– ამ კუთხით გასულ წელსაც განხორციელდა ინიციატივა, რომლითაც გამოიყო სპეციალური სოციალური დახმარება სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვებისთვის. ამან, როგორც ჩანს, არ გამოიღო შედეგი.

– ნუ იფიქრებენ ჩვენი მოქალაქეები, რომ ეს კოდექსი აღმოფხვრის ყველა იმ პრობლემას, რომლებიც ბავშვების წინაშე დგას, თუმცა, ჩემი აზრით, ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გარანტიებს საკანონმდებლო დონეზე, რიგ მიმართულებებს, ეს კანონპროექტი, რა თქმა უნდა, გააუმჯობესებს.

გივი კორინთელი: „მევახშეებისა და მიწისქვეშეთის დრო დადგა“

„მევახშეებისა და მიწისქვეშეთის დრო დადგა,“ – ასე აფასებს „კომერსანტთან“ „საქართველოში არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის“ დამფუძნებელი გივი კორინთელი საბანკო რეგულაციების ამოქმედებას.

კორინთელის განცხადებით, პრობლემაა ის, რომ საბანკო რეგულაციების დაწესება საკმაოდ სწრაფად მოხდა, რის შედეგადაც მევახშეები გააქტიურდნენ და მომსახურების ტარიფები გაზარდეს.

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცას ეჩქარება. პარალელურად, ეს ძალიან ბევრ რამეს ემთხვევა. მაგალითად, მშენებლობის მიმართულება რომ განვიხილოთ. სურათი ასეთია – ერთის მხრივ, გამკაცრებული პირობები ნებართვების აღებასთან დაკავშირებით და თითქმის სინქრონში საბანკო რეგულაციების დაწესება. არავინ დაობს იმაზე, რომ საბანკო რეგულაციები აღრე თუ გვიან მისაღები იყო, თუმცა, ეს ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო. აუცილებელი იყო სხვა ბიზნესების აზრების გათვალისწინება, მათი რისკების შესწავლა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველაფერ ამას ვიღაც გადაახტა და ასე ხისტად მიიღო რეგულაციები, – აღნიშნავს კორინთელი.

მისი მტკიცებით, მარეგულირებლის მხრიდან საბანკო და არასაბანკო სექტორისთვის მიცემული ვადა, საკმარისი არ იყო. მაგალითად, არასაბანკო სექტორისთვის პარალელურად ხდებოდა სხვა რეგულაციების ამოქმედება, მათ შორის იყო, კაპიტალის ზრდის მოთხოვნა. კორინთელის მტკიცებით, მოსამზადებლად გონივრული ვადა დაახლოებით 2 წელი იქნებოდა.

მისი განცხადებით, გამკაცრებული საბანკო რეგულაციები, ეფემერული ლარიზაცია, საქართველოში სესხის გამცემების, ფაქტობრივად, 2 სუბიექტამდე დაყვანა, ტოტალური უფულობა, კულტურის, სპორტის და სხვა სანახაობების არარსებობის ფონზე გამოიწვევს დიდ კონფლიქტს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, რაც აუცილებლად გაზრდის კრიმინალს და ნიჰილიზმს.

– მიზანი მიღწეულია – ყველა ფულის არხის მოსპობა და ამ არხების ტოტალური მართვა. მისოების დემონიზაცია და ბაზრიდან გახვეტა არის ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც ძალიან მალე აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. „ახლა ებრძოლეთ მევახშეებს ნოტარიუსებთან ყიდვა-გამოსყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას, არავინ არ დავობს იმაზე, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტება უნდა იყოს ბაზრის ყველა მონაწილეს ძირითადი ამომავალი წერტილი, მაგრამ... გამოდის, რომ მთელი დეკადები ბანკები უპასუხისმგებლოდ გვაკრედიტებდნენ, აგვავსეს ვალებით და ახლა ვალებავსებულებს გვეუბნებიან, რომ პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ჩვენთვის ფულის მოცემას.

საზოგადოება აპრიორშივე ბრმად ენდობა ბანკს და მის ყველა პროცედურას, წესს, დამფუძნებელს თუ სანტას იმიჯს. ვერც რეგულაციებამდე და ვერც რეგულაციების შემდეგ საზოგადოება ვერ განსაზღვრავს პასუხისმგებლიანად აკრედიტებენ მას ბანკები თუ არა, მაგრამ რასაც ნამდვილად შეიგრძნობს ეს არის უფულობის ზღვარი. ასე, რომ პასუხისმგებლიან დაკრედიტებაში არ არის საქმე – საქმეა პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებებში, – აღნიშნავს კორინთელი.

შეგახსენებთ, 20118 წლის 7 მაისიდან ეროვნული ბანკის რეგულაციების ძალაში შესვლის შემდეგ ბანკები სესხებს შემოსავლების დადასტურების გარეშე ვეღარ გასცემენ. 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საფინანსო ბაზრისთვის „პასუხისმგებლიანი დაკრედიტების“ მოთხოვნები ამოქმედდა.

ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილის რეიტინგი ნულს ჩამოსცილდა“

„მართული სასამართლო და პოლიციური რეჟიმი ივანიშვილს აზვირთებული ხალხის შესაკავებლად დასჭირდება“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ გახდნენ მიუღებელი მოსამართლეები სამართლიანობის ბურჯები? რისთვის სჭირდება ხელისუფლებას სახელგატეხილი კადრები? რა მოვლენებია მოსალოდნელი საქართველოში? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას**.

– რამდენიმე წლის წინ ბიძინა ივანიშვილმა სისტემის მსხვერპლი უწოდა მოსამართლე ლევან მურუსიძეს, რომელიც უკვე უვადოდ გაამწესეს. ამ დღეებში „ოცნების“ აქტივი გვიმტკიცებს, რომ სააკაშვილის დროს მოსამართლეები ცუდად იქცეოდნენ, ახლა კი კარგად იქცევიან და სამართლიანობის ბურჯები გახდნენ. რასთან გვაქვს საქმე?

– ხალხის მორიგ გაბრიყვებასთან. „ქართულმა ოცნებამ“ თავიდანვე ჩაიდინა დანაშაული, როცა პასუხი არ მოსთხოვა სააკაშვილის რეჟიმის დამნაშავეებს, უკანონო და უზნეო დავალებების შემსრულებლებს. მოსამართლეები ამ დანაშაულებრივ წრეში პირველ რიგებში იდგნენ. ისინი საუკეთესოდ ასრულებდნენ სააკაშვილის მოწოდებას „ყველანი ციხეში“ და სააკაშვილი-მერაბიშვილი-ახალაიას გულაგებში გვიშვებდნენ იმათაც, ვინც მათი თანამოაზრე არ იყო.

მაშინ გამამართლებელი განაჩენების მონაცემი 0,01% იყო. ამ ციფრს „ოცნებაც“ ახსენებს, მაგრამ, იმავდროულად, აწინაურებს მაშინდელ დამნაშავე მოსამართლეებს. ესაა დიდი დანაშაული ხალხის წინაშე და დარტყმა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ რეიტინგზე. ბიძინა ივანიშვილი ბრმად ასრულებს სხვების დავალებებს. მას არ ჰყოფნის პოლიტიკური გამოცდილება და ინტელექტუალური შესაძლებლობები, რომ იმოქმედოს.

– ეს პროცესები გარედან იმართება და ივანიშვილი ამას ვერ ეწინააღმდეგება?

– რასაკვირველია. ის თავიდან ბოლომდე უსიტყვოდ ასრულებს ლიბერალური ინტერნაციონალის დაკვეთებს. ეტყობა, თავისი ქონების მძევალია. კომპრომისებზე სხვა ქვეყნებიც მიდიან. ისინი თავიანთ სიტყვასაც ამბობენ. ვერ დამისახელებთ პოსტსაბჭოთა სივრცის ან ევროპის რომელიმე სახელმწიფოს, რომელიც მუდმივად სხვისგან მართული იყოს. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები ყოველთვის თავიანთ ეროვნულ ინტერესებს იცავენ და საკუთარ ხალხზე ზრუნავენ. ჩვენთან არის დაკვეთა, რომ შენარჩუნდეს ძველი, დაჭაობებული მანკიერი სისტემა, რომლის ნაწილია ორპარტიულობა. ივანიშვილი ამას ემსახურება.

– ამოცანა ძველი სისტემის შენარჩუნებაა?

– ეს აუცილებელია, რათა პოლიტიკასა და ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა იყვნენ. ამიტომ არ ისჯებიან დამნაშავეები, ცხადდება კოაბიტაცია, ხალხი ვერ პოულობს სამართალს. ახალ ძალებს, რომლებსაც ქვეყანაზე გული შესტკივათ, ებრძვიან. დაფინანსებაზე აღარ არის საუბარი. ბიუჯეტიდან ფულს იღებენ ერთი და იგივე პარტიები, რომლებსაც კვალიფიციურის სტატუსი მიაკუთვნეს.

– რატომ ერთი და იგივე? ბოლო დროს „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აღარ შედიოდა ამ კატეგორიაში, მაგრამ, ამ მოწვევის პარლამენტის გადაწყვეტილებით, ეს ხარვეზი გამოსწორდა. შედეგად, თოფაძე და ტყემალაძე მაღალი ხელფასებით ბიუჯეტიდან ფინანსდებიან.

– მეც იმას ვამბობ, რომ ამ პოლიტიკურ სისტემაში დიდი უსამართლობა და განუკითხაობა ტრიალებს. „მრეწველები“ იმ ორპარტიულ სისტემასთან არიან შეზრდილი და პრივილეგიებით სარგებლობენ. ახალ ძალებს გასაქანს არ აძლევენ. მათთვის დახურულია ტელევიზიები. კიდევ კარგი, რომ არსებობს თავისუფალი გაზეთი „ახალი თაობა“, რომელიც სხვადასხვა აზრს აქვეყნებს.

– მოსამართლეთა კორპუსიც ორპარტიულობას უნდა მოერგოს?

– რასაკვირველია. ამიტომ ხდება ასეთი ანტიხალხური და ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღება სასამართლოს სფეროში. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ივანიშვილი ხალხს შეეხვეწა, ჩვენ მიერ შერჩეულ კანდიდატს მხარი დაუჭირეთ და ყველაფერს დავალაგებო.

პირველი, რაც დაალაგა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გახდა. მაშინ გაუქმდა მორატორიუმი მიწების უცხოელებზე გასხვისებაზე. საპროტესტო აქციები დაგვჭირდა, რომ ეს არ მომხდარიყო. კიდევ ერთი ნაბიჯი მარაკეშის პაქტი იყო. ამ პაქტით მიგრანტების შესახებ საქართველომ ვალდებულება აიღო, საქართველოში მიიღოს და დააბინაოს შეუზღუდავი რაოდენობის მიგრანტები. ბოლო წვეთი გახდა მოსამართლეების საკითხი და ოდიოზური მოსამართლეების უვადოდ გამწესება, მათი გამართლება. ამით ივანიშვილის რეიტინგი ნულს ჩამოსცილდა.

– გამოდის, რომ მნიშვნელობა არ აქვს იმას, დაიშლება თუ არა „ქართული ოცნება“?

– მთავარია, წამყვანი პოზიცია ეკავოთ „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას, მათი წიაღიდან გამოსულებმა კი არ დაიწყონ დამოუკიდებელი თამაში. „ქართული ოცნების“ შიგნით ხდება კონკურენცია ჯგუფებს შორის, ძირითადად კი შეთანხმებული პროცესები მიდის.

ივანიშვილს აწყობს, რომ მის მიერ მართული მარიონეტები გასვრილები იყვნენ. ეს ეხებათ პოლიტიკოსებსაც და მოსამართლეებსაც. ხალხს ამზადებენ „მესამე ძალისთვის“. ივანიშვილის გათვლით, ეს ფლანგი მართული უნდა იყოს. ხალხი შეკვეთილ „მესამე ძალას“ კი არა, ახალ, დამოუკიდებელ ძალას ელოდება. „არც ნაცები, არც ქოცები“ სწორი ლოზუნგია, მაგრამ ხელისუფლება ამას იყენებს.

– და „მესამე ძალას“ ხელოვნურად ქმნის?

– ივანიშვილს არ აწყობს მისგან ყველანაირად დამოუკიდებელი და გაუსვრელი ადამიანების გააქტიურება პოლიტიკაში. პოლიტიკური მინდორი მან დიდი ხანია, დააცარიელა და მოკლა ნორმალური პოლიტიკური პროცესი. ახლა ქმნის მართვადი ძალების კონტურებს.

ამ კონფიგურაციაში მოიაზრებიან როგორც ალეკო ელისაშვილი, ისე ეკა ბესელია, რომელიც ბოლოდროინდელი მოვლენების მთავარი გმირია. ოდიოზური ფსევდოოპოზიცია შევარდნაძესაც ჰყოლია და სააკაშვილსაც. ივანიშვილისთვის მთავარია, არ გააჭაჭანოს ის ძალები, რომლებიც მას არ ემორჩილებიან, რომლებიც მას არ ჰყავს ნაყიდი და რომლებზეც კომპრომატები არ მოეპოვება.

– ამასთან დაკავშირებით როგორი პროგნოზი გაქვთ?

– საპროტესტო მოძრაობა გარდაუვალია იმ ფონზე, როცა უკმაყოფილება იზრდება. ივანიშვილს მართული სასამართლო და პოლიციური რეჟიმი აზვირთებული ხალხის შესაკავებლად სჭირდება.

– რატომ გგონიათ, რომ ჩვენი ამტანი ხალხი აზვირთდება? პატარ-პატარა აქციები ისედაც დიდი ხანია, იმართება.

– ამ აქციებიდან ზოგიერთი მართული იყო, ზოგიერთის კი ხელისუფლებას არ ეშინოდა. ხელისუფლების წისქვილზე წყალს ასხამს ის, რომ სხვადასხვა საპროტესტო ჯგუფი ერთმანეთის მიმართ სოლიდარული არ არის. ხალხს მოთმინება ევსება და ლოკალურ გამოსვლებს მასშტაბური პროტესტი მოჰყვება.

აქციებს „ქართული იდეაც“ ვგეგმავთ. ერთი მათგანი 16 მარტს პარლამენტის უკან, საშვთა ბიუროს მხარეს გაიმართება. პარლამენტის ცენტრალური შესასვლელის მხარეს შვილმოკლული მამების აქციებია. ჩვენ მათ ხელს არ ვუშლით.

– ისევ მიგრანტების ჩამოსახლებას გააპროტესტებთ თუ სხვა საკითხს წამოსწევთ?

– ეს აქცია ისევ მიგრაციის თემას მიეძღვნება. წინა მიტინგი ხალხმრავალი გამოდგა, მაგრამ მას არც ერთი დეპუტატი არ გამოხმაურებია. სამწუხაროა, რომ ამ პარლამენტში ყველა კონიუნქტურის მიმდევარია. ზოგს ჰგონია, რომ მთავარი ფრაქციის შექმნაა. ჩვენი მიზანი ფრაქცია არ არის. მთლიანად სისტემის შეცვლა და სამართლიანობა გვინდა.

ამისთვის ბრძოლაა საჭირო. უახლოეს ხანში რეგიონებს მოვივლით, ხალხს საინფორმაციო ვაკუუმიდან გამოვიყვანთ. ვაკუუმს ტელევიზიები ქმნიან. ვისაც გაზეთებზე წვდომა აქვს, ის ინფორმირებულია. საზოგადოებას ჩვენც დაველაპარაკებით. მომავალი საპროტესტო აქცია ამ ადამიანების მონაწილეობით გაიმართება.

ეს ფართომასშტაბიანი მიტინგი იქნება. საქართველო მიგრანტების ნაკადებს ვერ გაუძლებს. მიგრანტების მიღებაზე უარი უნდა ვთქვათ. ეს ხალხის მოთხოვნაა. თუ ხელისუფლება საზოგადოების მოთხოვნების მიმართ ყრუ იქნება, პოლიტიკურ მოთხოვნებსაც წამოვაყენებთ.

„ქართველებმა აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენა უნდა ვეძებოთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

– პატონო პაატა, ოკუპირებულ საზღვრებთან სიტუაცია საკმაოდ რთულია. იმატა მოსახლეობის გატაცებამ, საზღვრის გადმოწევამ, ჩვენი ხელისუფლება კი ამ ფონზე დუმს. უნდა ველოდეთ რაიმე ახალ პროვოკაციას?

– სიტუაციას თვალს ვადევნებ და შემიძლია გითხრათ, რომ ახალი, რაც აქამდე არ ხდებოდა, არაფერი ხდება. ამ თვალსაზრისით სიტუაცია არც გაუარესებულა და არც გაუმჯობესებულა. რუსეთი აგრძელებს ჩვეულ პოლიტიკას.

– თითქმის ყოველდღე იტაცებენ ჩვენს მოსახლეობას. რამდენიმე დღის წინ სასულიერო პირი გაიტაცეს.

– რუსეთი ამით თითს გვიქნევს, ყოველდღიურ რეჟიმში თავს გვახსენებს. აჩვევს ჩვენს მოსახლეობას მის მიერ დაწესებულ საზღვრებს, რომ ის არის საზღვარი და არ უნდა გადავლახოთ.

– რატომ არ რეაგირებს ამ პროცესებზე ჩვენი ხელისუფლება? სულ ახალ-ახალ პროვოკაციებზე მიდიან. ახლა თრუსოს ხეობაზეა საუბარი.

– თრუსოს ხეობაზე წლებია, ასე ლაპარაკობენ. ვიღაც ტვინგამორეცხილი ჟურნალისტებთან რაღაც განცხადებას გააკეთებს, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ის ამბობს. ხელისუფლება კი ამ პრობლემებზე საუბრობს საერთაშორისო დონეზე.

– თუმცა ეს სიტუაციას არ ცვლის.

– ყველა დონეზე ფიქსირდება ის, რაც ჩვენთან ხდება. კონფლიქტები სხვაგან უფრო მწვავედ დგას. მაგალითად, ყარაბახში, დონბასში, ყოველდღიურად ხალხი იღუპება. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენთან ეს მდგომარეობა არ არის. აქედან გამომდინარე, დასავლეთის ყურადღებაც უფრო ამ რეგიონებისკენ არის მიმართული.

საერთოდ მოისპო ყოველგვარი პირდაპირი კონტაქტები. ქართველები და ოსები, ქართველები და აფხაზები, ერთი ქვეყნის მოქალაქეები ერთმანეთში საერთო ენას ვერ პოულობენ. მე ეს უფრო მაშფოთებს.

– რას იტყვით ხელისუფლების პოლიტიკაზე ამ სიტუაციაში, სულ დასავლეთის იმედად უნდა იყვნენ?

– დღეს ხელისუფლებას არ სცალია კონფლიქტებისთვის. 6 წლის თავზე ისევ ნაციონალური მოძრაობაა მისი პრობლემა. სამარცხვინო განცხადება იყო პოლიტსაბჭოში, რომ ყველა, ვინც სასამართლოს ებრძვის, ნაციონალური მოძრაობაა. ანუ მეც და ნაციონალური მოძრაობაც თურმე ერთი ვყოფილვართ. აი, ეს არის მათი დღევანდელი კონფლიქტი. მათ სხვა კონფლიქტი არ იციან.

მე არ ველოდებოდი არც დიდ ეკონომიკურ აღმავლობებს და არც განსაკუთრებულ თავისუფლებებს, მაგრამ ველოდი, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად დიდი ხნის დამარხული იქნებოდა. ესენი კიდევ ისე გვიხატავენ, რომ უპირველესი საფრთხე ნაციონალური მოძრაობა ყოფილა და არა – რუსეთი.

– იყო მოლოდინი, რომ ახალი პრეზიდენტი აქტიურად ჩაერთვებოდა კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ამ კუთხით რას ფიქრობთ?

– სალომე ზურაბიშვილის მიმართ მსგავსი მოლოდინი არასდროს მქონია. დღევანდელი პრეზიდენტის ინსტიტუტი ძალიან შესუსტებულია. ზურაბიშვილი, მართალია, არაფერს ინდომებს, მაგრამ, რომც მოინდომოს, ვერ შეცვლის ვერაფერს და მე პირადად ამ ინსტიტუტის იმედი საერთოდ არ მაქვს. პოლიტიკის მართვა პარლამენტისა და მთავრობის საქმეა.

– პარლამენტსა და მთავრობაში რამდენად არიან კვალიფიციური პოლიტიკოსები, დიპლომატები, რომლებსაც შეუძლიათ, ეს ყინული დაძრან რუსულ-ქართულ ურთიერთობებში?

– მე ვერ ვხედავ ასეთს. ახალი თაობა მოვიდა, რომლებმაც საერთოდ არ იციან, კონფლიქტები რა არის. ცოცხალი აფხაზი და ოსი არ უნახავთ. პრემიერი აკეთებს აბსოლუტურად წინდაუხედავ განცხადებებს. გაეროში თქვა, რომ საქართველოში არ ყოფილა ეთნიკური კონფლიქტები, ეს არის რუსული პროპაგანდაო.

საუბედუროდ, იყო ეთნიკური კონფლიქტები და ჯობია, ამაზე არ ილაპარაკო. თუ ჟურნალისტი გკითხავს, იყო თუ არა საქართველოში ეთნიკური კონფლიქტიო, უნდა უთხრა, კი, სამწუხაროდ, იყოო, ხოლო შენი ინიციატივით არ უნდა საუბრობდე ამაზე. გაჩუმდი რა, ვინ გექაჩება ენაზე?!

ეს მშვენიერი მაგალითია იმისა, რომ არაკომპეტენტური ხალხია ქვეყნის სათავეში და წარმოდგენა არ აქვთ საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე.

რუსეთიც ამით ბრწყინვალედ სარგებლობს, დღითიდღე ძლიერდება, მოდის ახალ პროვოკაციებზე. ახლა ხურვალეთთან ახალი სათვალთვალო კოშკურა დადგეს.

– რისთვის სჭირდებათ, ეს ახალი პროვოკაციაა?

– რომ აკონტროლონ ყველა და ყველაფერი. არის აქ პროვოკაციის ელემენტიც, მაგრამ პროვოკაციაზე მეტად აქ არის რუსეთის პრაგმატული გათვლა, რომ კარგად დააკვირდნენ სიტუაციას. კოშკურა იმისთვის სჭირდებათ, რომ ხურვალეთში ყველაზე ხშირად ხდება ინციდენტები, ამიტომ მათ ამ კოშკურის დაყენებით ქართველი მოსახლეობის დაშინება სურთ.

– ანუ კვლავ ვრჩებით ამ რეჟიმში, რომ მოიტაცებენ ჩვენს მოქალაქეებს ნებისმიერ დროს, როცა მოუნდებათ, გადავიხდით ჯარიმებს და დააბრუნებენ, შესაძლოა, არც დააბრუნონ. ეს როდემდე გაგრძელდება?

– როგორც ჩანს, ეს გაგრძელდება და ეს იქნება ის მინიმალური ზღვარი, რომელიც იქნება დაპირისპირების დონეზე. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ დაპირისპირება იყოს უფრო მძაფრი. რა თქმა უნდა, საჭიროა ამის მოსპობაც, თუმცა ასე ადვილი არ იქნება.

კონფლიქტი ბევრგან არის და იქ ნამდვილად არ არის ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა. კონფლიქტი გვაქვს ჩვენს ხალხებთან, აფხაზებთან და ოსებთან და კონფლიქტი გვაქვს რუსებთან, კეთილი ვინებოთ და ამაზე ვიმუშაოთ.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მავთულხლართებს რომ არ ავლებდნენ და ხალხს არ იტაცებდნენ, არანაირი რეაქცია არ ექნებოდა არავის, არც მე დამირეკავდით და არავის ემახსოვრებოდა, რომ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია.

– ოდესმე მოვა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს?

– ადრე უფრო მეტი იმედი მქონდა. რაც დრო გადის, ვხედავ, რომ მოდიან ისეთი არაკომპეტენტური ადამიანები, რომლებსაც საერთოდ წარმოდგენა არა აქვთ კონფლიქტებზე.

„მოსამართლეებს ვურჩევ, თავს მიხედონ და იმიჯს მთლად ნუ გაიფუჭებენ“

ბიძინა გუჯაბიძე: „თუ ასე გააგრძელებენ, ქუჩაში რომ გაივლიან, სასაცილოები და სამარცხვინოები იქნებიან“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **ბიძინა გუჯაბიძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო ბიძინა, საით მიემართება პროცესები „ქართულ ოცნებაში“, პოლიტსაბჭოს განცხადებიდან გამომდინარე?

– მე მგონი, დაძაბულობა მოიხსნა, შიგნით შეთანხმდნენ.

– ბოლო შეხვედრიდან გამოსული გედევან ფოფხაძისა და ეკა ბესელიას განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი არ გამორიცხავენ „ოცნებიდან“ გასვლას.

– არ ვიცი, პირველად მესმის. მათი გადასაწყვეტია, რას მოიმოქმედებენ. ეტყობა, რაღაც შეუთანხმებლობაა.

– ეკა ბესელიამ თქვა, რომ ბოლო შეხვედრამ კიდევ უფრო მიაახლოვა იმ მიჯნას, რომ რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რადგან ღირებულებებში განსხვავებებია.

– მაშინ გედევან ფოფხაძეს რა უნდა, ვერ ვხვდები. ალბათ, იმ შემთხვევაში გავლენ, თუ არ შესრულდება მიღწეული შეთანხმება.

– პოლიტსაბჭოს განცხადებაში საუბარი იყო იმაზე, რომ სასამართლო ხელისუფლებაზე შტურმი ხორციელდება. თქვენ თუ ხედავთ ამ შტურმს?

– არა, მე ვერ ვამჩნევ, სასამართლო ხელისუფლებაზე ვინმე შტურმს რომ ახორციელებდეს. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება გაითვალისწინებს ამას. ვინც არ უნდა საზოგადოებას, ის არ გააკეთოს და არ წამოსწიოს წინა პლანზე. ასეთი მიდგომა სწორი იქნება. მე მგონი, ბიძინა ივანიშვილიც ამ აზრზეა.

– ბიძინა ივანიშვილს პარლამენტის დეპუტატების გარკვეული ჯგუფი, ალბათ, ინფორმაციას აწვდის. მათ შორის, ალბათ, პარლამენტის თავმჯდომარეც არის და შესაძლებელია, აქედან გამომდინარე, გარკვეული აზრიც ექმნება.

– თქვენ ამბობთ, რომ არასწორად აწვდიან ინფორმაციას? ეს არ ვიცი, ვერ გეტყვით.

– მაშინ რატომ უნდა ყოფილიყო საუბარი პოლიტსაბჭოს განცხადებაში იმაზე, რომ სასამართლო ხელისუფლებაზე შტურმი ხორციელდება?

– მე როგორც ვხვდები, შტურმის განმახორციელებლებში გედევან ფოფხაძე, ეკა ბესელია და სხვები არ იგულისხმებიან.

– აბა ვინ იგულისხმება?

– ნაცმოძრაობა. სასამართლოზე შტურმს მართლა ნაციონალები ახორციელებენ. ალბათ,

ამას გულისხმობდნენ. სხვა დასკვნა არ შეიძლება გავაკეთოთ. ხელისუფლებას არ აწყობს სასამართლო ხელისუფლებაზე შტურმი, რადგან ეს თავისთავად ქვეყნისთვისაც ცუდია. არა მგონია, ევროპის მხრიდან საქართველოს აღიარების შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილის ვოიაჟებს მოჰყვა, ხელისუფლებამ გარისკოს რაიმე არადემოკრატიული ქმედებების ჩადენა.

– ნაციონალების სასამართლოსთან შედარებით, დღევანდელი სასამართლო ხელისუფლების მუშაობა გაუმჯობესებულია, მაგრამ ეს საკაშვილის შეკვეთების შემსრულებელი მოსამართლეების დამსახურებაა თუ იმ ფაქტორის, რომ პოლიტიკური წნეხი მოიხსნა?

– პოლიტიკური წნეხი სასამართლოზე აღარ არის. მოსამართლეები უფრო თავისუფლად იღებენ გადაწყვეტილებებს, ხელს არავინ უშლით – არც პროკურატურა და არც ხელისუფლების რომელიმე შტოდან, დემოკრატიული პროცესები მიდის. ოღონდ, რამდენად გამართულია ეს პროცესი, გამოჩნდება. ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს და არა ფრაგმენტულად რომელიმე ერთი მოსამართლის გადაწყვეტილება, არამედ რაიმე ხარვეზი ხომ არ არის სისტემაში

– შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ბიძინა ივანიშვილი ბესელია-ფოფხაძის ჯგუფსა და უმრავლესობის დანარჩენ წევრებს შორის გამაერთიანებელი შეიძლება ვეღარ იყოს.

– თავისთავად. მივყვეთ ლოგიკას. თუ ამ ორი მხარის შეხედულებები ძალიან რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ბიძინა ივანიშვილი მათ ვეღარ დააახლოებს. თუმცა ჯერჯერობით ამ გზას ვერ ვხედავ. პირიქით, საქმე მათი შეხედულებების დაახლოებისკენ მიდის.

თუ პროცესი მათი შეხედულებების დაახლოებისკენ წავა, მაშინ ბატონ ბიძინას შეუძლია, გამაერთიანებლის როლი ითამაშოს და ამ ეტაპზე არსებული სიტუაცია განმუხტოს.

– როგორც ვხვდები, უმრავლესობაში ზარდიაშვილის პრობლემა დგას.

– ზარდიაშვილი და ის გუნდი ერთი და იგივეა.

– ამ შემთხვევაში ზარდიაშვილი იყო ნახსენები პრობლემად.

– გვრიტიშვილი, ზარდიაშვილი და მისი ჯგუფი ერთი და იგივეა, რომელიც არ მოსწონს საზოგადოებას, არც ბესელიასა და ფოფხაძის მხარეს. მათ შორის თანხმობა ვერ მოხდება და მათ არც არავინ არაფერს ეკითხება.

თუ მოსამართლეებიდან ვინმე შეეცდება, პოლიტიკური შეფერილობა მისცეს და პოლიტიკურ განცხადებებს გააკეთებს, არასწორია, ეს მათვე ავნებს. საზოგადოება იმას კი არ ამბობს, მათ არსებობის უფლება არ აქვთ, არამედ უვადოდ არ უნდა გამწესდეს ისეთი მოსამართლე, რომელსაც, როგორც ჩანს, კვალიფიკაციაც არ უვარგა.

მეორეც, ნაცხელისუფლების პირობებში ისეთი გასვრილები არიან, რომ მათი ნდობა უკვე აღარ შეიძლება და მათ გამო სასამართლო ხელისუფლების ნდობაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, მით უმეტეს, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც პრეტენზიას გამოთქვამს. ასე რომ, თუ გუნდში დაძაბულობა არის, დიდი კონსენსუსი უნდა მოხდეს. ვფიქრობ, ტენდენცია თანხმობისკენ მიდის.

კარგი იქნება, თუ ზარდიაშვილი და მისი თანამებრძოლები თავს შეიკავებენ და საერთოდ არ გაიფუჭებენ საქმეს. საზოგადოებაში ზიზღს არ დაიმსახურებენ და მუშაობის საშუალება ექნებათ და არა მუდმივ მოსამართლეებად გამწესებისთვის იბრძოლებენ. თუ კვალიფიციურები არიან, მომავალში შეუძლიათ, ადვოკატურაში წავიდნენ. იურისტები სხვაგანაც მოღვაწეობენ.

– ამ მოსამართლეებში თქვენ თავშეკავების რაიმე ნიშანწყალს ხედავთ?

– მე ვამბობ, მომავალში თუ არ შეიკავებენ თავს, თორემ, თავშეკავებას რომ ვერ ვატყობ, სრულიად აცდენილები რომ არიან და მოსამართლეების პოზიციებიდან შეუფერებელ განცხადებებს რომ აკეთებენ, ჩანს.

– ბოლო პერიოდში მოსამართლეებმა რიგგარეშე ყრილობა მოიწვიეს. იქ გულზე მჯიღს იცემდნენ, ჩვენც მურუსიძეები ვართო. ამას ზოგი მოსამართლე გამოსვლებში პირდაპირ ამბობდა, დანარჩენები ისხდნენ და ტაშს უკრავდნენ.

– ჰო, ეს მაგრად შემოვიდა მოდაში – ჩვენ ის ვართ, ჩვენ ეს ვართო. მოსამართლეებს ვურჩევ, თავს მიხედონ და იმიჯს მთლად ნუ გაიფუჭებენ. საზოგადოებას შურისძიება არ შეუძლია, რეპრესიას საზოგადოება ვერ განახორციელებს, მაგრამ, თუ ასე გააგრძელებენ, ქუჩაში რომ გაივლიან, სასაცილოები და სამარცხვინოები იქნებიან.

ეს თუ არის მაგათი მიზანი, კი ბატონო. ამით ვერც ხელისუფლებას დააკლებენ ვერაფერს და ვერც ვერავის ამა თუ იმ დაჯგუფებიდან.

– იმ პროცესში, რომელიც განვითარდა დეკემბრიდან დღემდე, დადებითს რაიმეს ხედავთ?

– დადებითი ის არის, რომ საზოგადოების ნებას წინ ვერავინ აღუდგება. ხალხის წინააღმდეგ ვერავინ წავა და ხელისუფლებაში არასერიოზულ გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს. ეს გამოჩნდა კიდევაც არჩევნების პერიოდში და ახლაც, მოსამართლეების შერჩევის დროს. საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ამ პროცესში ჩართული იყო, ხელისუფლებას თავისი შეცდომები კარგად აგრძნობინა. დადებითი ეს არის.

წარმოგიდგენიათ, მიშას დრო რომ ყოფილიყო, რამდენ რეპრესიას ჩაატარებდნენ, რამდენს რას გაუჩალიჩებდნენ და რამდენს ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს? ან მათი ოჯახის წევრებზე იქნებოდა ზეწოლა, ან მათ ბიზნესებზე.

ახლა კი დემოკრატიაა, განსხვავებული აზრი არ იდევნება, პოლიტიკური დევნა ნამდვილად არ ხდება.

იდეალური რომ არ არის პროცესი, ნათელია, მაგრამ ცასა და დედამიწას შორის რომ არის განსხვავება, ისე ძალიან დიდი სხვაობაა ნაცმოძრაობისა და დღევანდელი ხელისუფლების ქმედებებს შორის.

– ამ პროცესს სასამართლოს გაჯანსაღების კუთხით შედეგები მოჰყვება?

– სასამართლო ხელისუფლებაში გამოვლენილ ხარვეზებზე დაწყებულმა პროცესმა პოზიტიური როლი შეასრულა. ეს გავლენას მოახდენს მოსამართლეებზეც, რომლებიც ზედმეტად თავდაჯერებულები ვეღარ იქნებიან.

პროცესმა აჩვენა, რომ პოლიტიკოსებიდან ვინც შეეცდება ხალხის ნების იგნორირებას, ყველა მიიღებს უარყოფით შეფასებას.

ტაქსების თეთრად გადაღებვა 1-ლი მარტიდან დაიწყება

ტაქსების თეთრად გადაღებვა 1-ლი მარტიდან დაიწყება, – ამის შესახებ თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ხმალაძემ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულ კომპანიაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ გამარჯვებულია კომპანია „ალმა“.

თავდაპირველად აუქციონთან დაკავშირებით თბილისის მერმა კახა კალაძემ ისაუბრა და აღნიშნა, რომ კომპანიისთვის ამ უფლების გადაცემის გადაწყვეტილება მერიამ იმიტომ მიიღო, რომ დამატებითი ხარჯი ოჯახებს არ დაკისრებოდა.

– როგორც ვიცი, კონკურსი, რომელიც რეკლამის განთავსებაზე იყო გამოცხადებული და ხელშეკრულებაც გაფორმებულია. ამასთან დაკავშირებით მივაწოდოთ მოსახლეობას ინფორმაცია, რადგან პირდაპირ უკავშირდება რეფორმას ტაქსებთან დაკავშირებით. თქვენ იცით, რომ გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ და შევჯერდით, რომ 2019 წლის ოქტომბრიდან ტაქსის ფერი არის განსაზღვრული – თეთრი და ეს გარკვეული ხარჯები რომ არ დააწვეს ტაქსის მძღოლებს, ვისაც ლიცენზია ექნება და ვისი ავტომობილიც ტექდათვალიერებას გაივლის, ამ ადამიანებს რომ არ დააწვეს გადაღებვის სამუშაოები, ამ ვალდებულებას აიღებს გამარჯვებული კომპანია, – განაცხადა კალაძემ.

თავის მხრივ, ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ კომპანია „ალმა“, რომელმაც აუქციონში გაიმარჯვა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს მანქანებს რეკლამის განთავსების სანაცვლოდ გადაუღებავს.

– ერთი კვირის წინ დასრულდა კონკურსი, გვყავს გამარჯვებული კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს 1-ლი მარტიდან ორი სახის ვაუჩერის გაცემას ტაქსის ნებართვის მფლობელებზე: ერთია – თეთრ ფერზე გადაღებვის ვაუჩერი და მეორე იქნება ტაქსების ინტერიერის წმენდის ვაუჩერი.

ჩვენ შევქმენით საკმაოდ ეფექტური და კარგი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, კომპანია ამის სანაცვლოდ თანხებს არ მოითხოვს ტაქსის ნებართვის მფლობელებისგან, ის მათ სატრანსპორტო საშუალებებზე განათავსებს რეკლამას ორი წლის ვადით და ამის სანაცვლოდ უზრუნველყოფს შეღებვას. ამ შეღებვის და ინტერიერის წმენდის ვაუჩერით სარგებლობის უფლება აქვთ იმ ტაქსის ნებართვის მფლობელებს, რომლებმაც 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით მიიღეს მგზავრთა გადაყვანის მომსახურების ნებართვა. ჩვენ საინფორმაციო კამპანიასაც დავიწყებთ ამ დღეებში, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ამ ვაუჩერებით და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ვაუჩერით სარგებლობა შეეძლებათ მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს, რომლებსაც გავლილი ექნებათ სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება. თქვენ იცით, რომ ჩვენ ეს კონკურსი მივაბით თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კუთვნილი მეტროს და ავტობუსების რეკლამების აუქციონს. შედგა ეფექტური ვაჭრობა, 11 მილიონიდან დაიწყო და 14 მილიონ ლარს ასცდა. გამარჯვებულია კომპანია „ალმა“, ეს არის საკმაოდ კვალიფიციური კომპანია და მზად არის 1-ლი მარტიდან გასცეს ვაუჩერები რეკლამების განთავსების სანაცვლოდ, – განაცხადა ხმალაძემ.

გიორგი კვირიკაშვილმა ახალ სამსახურში 4 თვეში 30.000 ევრო მიიღო

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თანამდებობის დატოვების შემდეგ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გააფორმა ხელშეკრულება.

EBRD-ის საერთაშორისო მრჩევლის პოსტზე კვირიკაშვილის შემოსავალმა გასული წლის 6 სექტემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში 29.888 ევრო შეადგინა. ამასთან, მანვე გასულ წელს პრემიერის პოსტზე 1-ლი იანვრიდან 13 ივნისის პერიოდში 23.882,87 ლარის შემოსავალი მიიღო. ეს ინფორმაცია გიორგი კვირიკაშვილის მიერ მიმდინარე წლის 31 იანვარს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაშია აღნიშნული.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ როგორ შეიცვალა ყოფილი პრემიერის ქონებრივი მდგომარეობა პოსტის დატოვების შემდეგ. მის მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, გიორგი კვირიკაშვილის უძრავ-მოძრავი ქონება არ შეცვლილა. კერძოდ, პრემიერი კვლავ ფლობს, 217,31 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლსა და 34 კვ. მეტრი ფართობის ბინას თბილისში; ასევე 433 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს დედაქალაქში და დუშეთში მდებარე 243,8 კვ. მეტრის აგარაკსა და 3.475 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს.

რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში, საბანკო ანგარიშზე 4.991,98 ლარი და სხვადასხვა ბანკში 3.677,52 დოლარის, 8.999,82 ლარის, 5.000 ევროსა და 8.435,47 დოლარის საკრედიტო ჰქონდა.

გიორგი კვირიკაშვილი მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად ცხოვრობს. დეკლარაციის თანახმად, ყოფილი პრემიერის მეუღლეს საბანკო ანგარიშზე დეკლარაციის შევსების მომენტში 302,84 ლარი ჰქონდა.

რაც შეეხება შვილებს, მისმა უფროსმა შვილმა 2018 წელს შეიძინა „საქართველოს ბანკის“ აქციები. მასვე საბანკო ანგარიშზე 1.875,95 ლარი ჰქონდა. ამასთან, ის მუშაობდა გასულ წელს „საქართველოს ბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე. კერძოდ, მისი შემოსავალი ბანკის საინვესტიციო ოფიცრად მუშაობისას იანვარ-მარტში 73 262,66 ლარი; უფროსი საინვესტიციო ოფიცრის პოზიციაზე – 1-ლი აპრილიდან 14 მაისის პერიოდში 8.454,55 ლარი; სს „საქართველოს კაპიტალის“ უფროსი საინვესტიციო ოფიცრის პოზიციაზე 15 მაისიდან 31 აგვისტოს პერიოდში 10.500 ლარი; ხოლო სექტემბერ-დეკემბერში სს „m^2 უძრავი ქონების“ დირექტორის მოადგილის პოსტზე ბიზნესის განვითარების მიმართულებით – 24.000 ლარი იყო.

შეგახსენებთ, რომ გიორგი კვირიკაშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვების შესახებ განცხადება 2018 წლის 13 ივნისს გააკეთა. ის პრემიერობამდე, 2012 წლის ოქტომბრიდან ჯერ ეკონომიკის და მერე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა. პარალელურად იყო ასევე ვიცე-პრემიერიც. 2015 წლის 30 დეკემბრიდან კი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა.

ქეთი მურუსიძეს 8 წელი მიუსაჯეს

კლუბებში სპეცოპერაციისას დაკავებული რვავე პირი დამნაშავედაა ცნობილი

კლუბებში სპეცოპერაციისას დაკავებული ქეთი მურუსიძე თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

მოსამართლემ მურუსიძე დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვასა და რეალიზაციაში დამნაშავედ ცნო. რაც შეეხება თაღლითობის ეპიზოდებს, მოსამართლემ მას ეს მუხლი თაღლითობის მცდელობად გადაუკვალიფიცირა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძემ გუშინ, 7 თებერვალს, გამოაცხადა.

ამასთან დაკავშირებით გუშინვე საქართველოს პროკურატურამ განცხადება გააკეთა.

„საქართველოს პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ქ. თბილისში მდებარე ღამის კლუბებში სხვადასხვა დროს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისთვის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის თბილისის საქალაქო სასამართლომ 8 პირი დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულებმა ღამის კლუბებში – „ბასიანი“, „ხიდი“, „კაფე გალერიში“ და „მტკვარზე“ მოქალაქეებზე უკანონოდ გაასაღეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერება.

სასამართლო გადაწყვეტილებით, აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის ბ.დ.-ს 9 წლით და 6 თვით, ვ.ჟ.-ს 8 წლით, ჯ.ე.-ს 8 წლით, თ.ჩ.-ს 7 წლით, გ.მ. -ს 8 წლით და მ.მ. -ს ასევე 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. აღსანიშნავია, რომ დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა ქ.მ-ს და ლ.მ.-ს ბრალდების საქმეების განხილვა. მოსამართლემ ორივე მათგანი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 8 და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დღევანდელი განაჩენებით თბილისის ღამის კლუბებში ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისთვის დაკავებულ პირთა საქმეების განხილვა დასრულდა“, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

❖ ❖ ❖

ქეთი მურუსიძის დედა, თეონა ტყაბლაძე, ამბობს, რომ საკონტროლო შესყიდვისას ამოღებულ ნარკოტიკზე ქეთი მურუსიძის დნმ არ ამოსულა.

მისი თქმით, მისი შვილი დანაშაულს თაღლითობის ნაწილში დაკავების დღიდან აღიარებს.

ბრალდებულის დედის თქმით, არსებობს მტკიცებულება, რომ ქეთი მურუსიძეს ნარკოტიკების რეალიზებაში მონაწილეობა არ მიუღია.

– მოცილების მიზნით აგენტ-პროვოკატორს გაციების წამალი, „ფლუკოლდი“ მისცა. ნივთმტკიცება ნარკოტიკით აგენტ-პროვოკატორმა შეცვალა თუ არა, არ ვიცი. საკონტროლო შესყიდვისას ამოღებულ ნარკოტიკზე, რომელიც აგენტ-პროვოკატორმა პროკურატურას მიაწოდა, ექსპერტიზის შედეგად, ქეთის დნმ არ ამოვიდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ქეთის ამ ნაწილში ბრალი არ მიუძღვის, – განაცხადა თეონა ტყაბლაძემ.

დაახლოებით იმავეს ამბობს მურუსიძის ადვოკატი.

– ის ნარკოტიკული ნივთიერებები, რომლებიც გამოძიებამ წარმოადგინა, აგენტ-პროვოკატორს გზაში აქვს შეცვლილი, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულიად უსამართლოა, – განაცხადა ქეთი მურუსიძის ადვოკატმა გია გოროზიამ განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, ქეთი მურუსიძის მხრიდან ნარკოტიკების რეალიზაციას ადგილი არ ჰქონია. ადვოკატი მისი მხრიდან მხოლოდ თაღლითობის ფაქტს ადასტურებს.

– სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულიად უსამართლოა და ის, ჩემი ღრმა რწმენით, დაუსაბუთებელი იქნება. ბრალდების მხარეს საკმარისი მტკიცებულება არ გააჩნდა, რომ ქეთი მურუსიძე ეცნო მსჯავრდებულად იმ ნაწილებში, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებას ეხება.

რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება სასამართლომ, ვერ გეტყვით. როცა კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებული განაჩენი ჩაგვბარდება, გავასაჩივრებთ და დეტალებსაც შემდეგ მოგახსენებთ, თუ რას დაეყრდნო სასამართლო.

დაკავების დღიდანვე ვაფიქსირებდით პოზიციას, რომ ქეთი მურუსიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითობის ჩადენის ფაქტს. ის ნარკოტიკული ნივთიერებები, რომლებიც გამოძიებამ წარმოადგინა, აგენტ-პროვოკატორს გზაში აქვს შეცვლილი, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულიად უსამართლოა, – განაცხადა ქეთი მურუსიძის ადვოკატმა გია გოროზიამ.

„სერჟანტმა ჩაკეტა ოთახში და სხვებს უთხრა, თქვენი საქმე გააკეთეთო, თვითონაც დაარტყა“

რას ყვება 21 წლის ახალწვეულის მამა

21 წლის ახალწვეულ ელჯან ეფენდიევის მამა სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ მისი შვილი ერთ-ერთმა სერჟანტმა დახურულ ოთახში შეიყვანა, რის შემდეგაც ახალგაზრდას სხვა ახალწვეულები ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მისი თქმით, ელჯანმა გონება დაკარგა, რის შემდეგაც საჭირო გახდა მისი რუსთავის საავადმყოფოში გადაყვანა.

ეფენდიევის მამის თქმით, სერჟანტმაც დაარტყა მის შვილს კისრის არეში.

– ჩემმა შვილმა მითხრა, რომ სერჟანტმა ჩაკეტა ერთ ჯარისკაცთან ერთად და უთხრა, რომ თქვენი საქმე გააკეთეთო. შემდეგ რამდენიმე სამხედრომ სცემა. სერჟანტმაც დაარტყა უგონოდ და უგონო მდგომარეობით „რუსთავში“ გადაიყვანეს. სამ საათზე კი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ასეთი სერჟანტისგან რა უნდა ისწავლო, – აცხადებს მამა.

ინციდენტი კრწანისის საწვრთნელ ცენტრში მოხდა.

თავდაცვის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია და ახალგაზრდა ემოციური ფონის გამო გადაიყვანეს კლინიკაში.

ეფენდიევის მამა კი ამბობს, რომ სამხედრო პოლიცია საქმეში მას შემდეგ ჩაერთო, რაც სამართალდამცავები თავად გამოიძახა.

„ჩემს შვილს ნაკბილარი ეტყობა“

გორში მეექვსეკლასელმა კლასელი დაკბინა



გორის მე-5 საჯარო სკოლაში მეექვსე კლასის მოსწავლე კლასელმა დაკბინა.

ერთ-ერთი ბავშვის მშობელმა „პრაიმტაიმთან“ ფაქტი დაადასტურა.

– ბავშვი დაკბენილია, მკლავის არეში ჩემს შვილს ნაკბილარი ეტყობა. სისხლი მოსდიოდა. სკოლის დირექტორმა და მისმა მოადგილემ სასწრაფო დახმარება არ გამომაძახებინეს.

დირექტორმა მითხრა, თუ გინდა, ბავშვი საერთოდ გაიყვანე სკოლიდან და შენც წადი სამსახურიდანო. სასწრაფო რომ არ გამომაძახებინეს, შესაბამისად, სკოლაში არც პოლიცია მოსულა, – განუცხადა ბავშვის დედამ, რომელიც იმავე სკოლაში დამლაგებლად მუშაობს.

შსს-ში ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინება არ შესულა.

სკოლის დირექტორმა ზურაბ ქარელმა „პრაიმტაიმთან“ ფაქტზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

ზურაბ ქარელი რესურსცენტრს ხელმძღვანელობდა და სამსახურიდან აუდიტის დასკვნის საფუძველზე გაათავისუფლეს. მე-5 საჯარო სკოლის დირექტორად ქარელი რამდენიმე თვის წინ დაინიშნა.

გურიაში კანონიერი ქურდისადმი მიმართვისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გურიაში კანონიერი ქურდისთვის მიმართვისა და გამოძალვის ფაქტი გახსნა.

აღნიშნულის შესახებ შს მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძემ ბრიფინგის ფარგლებში ისაუბრა.

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას განაგრძობს, რომლის მიზანია ქვეყანაში „ქურდული სამყაროსა“ და მასთან დაკავშირებული კრიმინალური მენტალიტეტის აღმოფხვრა.

2019 წლის 7 თებერვალს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ლანჩხუთში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისთვის, ასევე, მოქალაქეებისგან თანხის გამოძალვისთვის, 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ე.წ. ქურდული გარჩევის მიზნით, საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდს – თენგიზ ხოფერიას მიმართა. ხოფერიას მიერ ვიდეოზარის მეშვეობით განხორციელებული „ქურდული გარჩევის“ შედეგად, ბრალდებულმა ლანჩხუთში მცხოვრებ 3 მოქალაქეს თანხა გამოსძალა.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. კანონიერი ქურდი თენგიზ ხოფერია, გასული წლის აგვისტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, „კანონიერი ქურდობის“ ბრალდებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში დაუსწრებლად არის მიცემული.

სამართალდამცველებმა ბრალდებული გ.მ., ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ლანჩხუთში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის სახლის ჩხრეკისას, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღი, ფული და ნარკოტიკული ნივთიერება ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის და გამოძალვის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა-4 მუხლის 1-ლი და 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, „ქურდულ სამყაროსა“ და მასთან დაკავშირებულ კრიმინალურ მენტალიტეტთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებების წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

კერძოდ, 2018 წლის აპრილიდან, „კანონიერ ქურდობასა“ და „ქურდული სამყაროს წევრობასთან“ ერთად, სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა „ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა“, „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“ და „ქურდული სამყაროს წევრისთვის ან კანონიერი ქურდისთვის მიმართვა“, რაც 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

2018 წლიდან დღემდე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ, უცხოელ კოლეგებთან ერთად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო და დააკავა „ქურდული სამყაროსა“ და კრიმინალური დაჯგუფებების 198 წევრი, რომელთაგან 13 ე.წ. კანონიერი ქურდია, ხოლო 28 პირს ბრალი კანონის ახალი მუხლებით წარედგინა, – განაცხადა ბორცვაძემ.

„ღამით მიეპარა და მოკლა“

გიზო ბოჭორიშვილი ვარშავაში მოკლეს

პოლონეთში საქართველოს მოქალაქე გიზო ბოჭორიშვილი მოკლეს.

როგორც „პრაიმტაიმს“ გარდაცვლილის მეუღლე თეა კვარაცხელიამ განუცხადა, ეჭვმიტანილი თერჯოლის რაიონის მკვიდრია.

– ისინი სასტუმროში ერთად ცხოვრობდნენ. შელაპარაკების ნიადაგზე, ნასვამი ღამით მიეპარა და მოკლა, – ამბობს მოკლულის მეუღლე.

გიზო ბოჭორიშვილი ამ დროისთვის პოლონეთის პროზექტურაშია გადასვენებული. მომხდარის შესახებ ინფორმირებულია პოლონეთში საქართველოს საელჩო.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, 45 წლის მამაკაცი, რომელსაც ჭრილობა ზურგის არეში ჰქონდა მიყენებული, ვარშავის ერთ-ერთ საავადმყოფოსთან უცნობმა პირებმა დატოვეს და ადგილიდან მანქანით მიიმალნენ.

საქართველოს მოქალაქის პასპორტი დაღუპულს თან ჰქონდა.

„კურიერის“ ინფორმაციით, გიზო ბოჭორიშვილი პოლონეთში უკრაინიდან ერთი კვირის წინ წავიდა.

ვარკეთილში სატვირთო მანქანა ამობრუნდა

ვარკეთილში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, სატვირთო მანქანა ამობრუნდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მძღოლმა ვერ უზრუნველყო უსაფრთხოდ მობრუნება, რამაც სატრანსპორტო საშუალების ამობრუნება გამოიწვია.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

მძღოლი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება.

სუსმა ქრთამის აღების ფაქტზე – 1 პირი, ხოლო ქრთამის მიცემის ფაქტზე 4 პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ქრთამის აღების ფაქტზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს სწრაფი რეაგირებისა და პატრულირების განყოფილების უფროსი ზაქარია ქინქლაძე დააკავეს. ასევე უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემის ფაქტზე დაკავებული არიან: შპს „გრემის“ დამფუძნებლები გოჩა ფ. და გიორგი ა, შპს „ქისტაურის“ დამფუძნებელი და დირექტორი რამაზ ლ. და მოქალაქე ვაჟა ფ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ა-მ, გოჩა ფ-მ და ვაჟა ფ-მ განიზრახეს ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხა და მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებული ხე-ტყის მასალის რეალიზაციის შედეგად უკანონო შემოსავლების მიღება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მათ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს მაღალი თანამდებობის პირს მფარველობის გაწევის სანაცვლოდ ქრთამის სახით ყოველთვე 3.000 აშშ დოლარის გადახდა შესთავაზეს. დაპირებული თანხა აღნიშნულ პირს გოჩა ფ-მ გადასცა.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ რამაზ ლ-მ განიზრახა ახმეტის რაიონის სოფელ ორვილას ტყეში ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხა და მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებული ხე-ტყის მასალის რეალიზაციის შედეგად უკანონო შემოსავლების მიღება. რამაზ ლ-მ ზემოხსენებულ პირს მფარველობის გაწევის სანაცვლოდ ქრთამის სახით ყოველთვე 10.000 ლარის გადახდა შესთავაზა და დაპირებული თანხის ნაწილი 8.000 ლარი გადასცა. ამასთან, რამაზ ლ-მ ადგილზე შესასრულებელ პროცედურებში დახმარების სანაცვლოდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური სამმართველოს სწრაფი რეაგირებისა და პატრულირების განყოფილების უფროს ზაქარია ქინქლაძეს ქრთამის სახით 2.500 ლარი გადასცა.

ქრთამის სახით გადაცემული თანხები – 3.000 აშშ დოლარი და 8.000 ლარი ნივთმტკიცებად ამოღებულია.

გამოძიება ქრთამის აღებისა და ქრთამის მიცემის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე და 4-დან 7 წლამდე ვადით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

აშშ-ის კონგრესში ტრამპის წინააღმდეგ ახალი გამოძიების დაწყება სურთ

აშშ-ის კონგრესში ახლა უმრავლესობას დემოკრატიული პარტიის წევრები შეადგენენ, სენატი კი კვლავ რესპუბლიკელების ხელშია. კონგრესშიც ტრამპის მიმართ ახალი გამოძიების დაწყება სურთ. ის ბევრად უფრო ფართომასშტაბიანი იქნება, ვიდრე სპეცპროკურორ მიულერის გამოძიება.

– გამოძიება არ შემოიფარგლება ტრამპის კონტაქტებით მხოლოდ რუსეთთან ან საუდის არაბეთთან, – აცხადებს კონგრესის სადაზვერვო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე შიფი.

კონგრესმენები აპირებენ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტრამპის ოჯახის ბიზნეს-კონტაქტები შეისწავლონ მათი კანონიერების დასადგენად.

მაიკ პომპეო: „რუსეთი აშშ-ს ახლო აღმოსავლეთიდან ვერ განდევნის!“

ვაშინგტონში შედგა აშშ-ის ეგიდით შექმნილ ანტიტერორისტულ კოალიციაში შემავალი სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეკრება.

მასზე სიტყვით გამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო.

მან თქვა, რომ ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო ტერორიზმი ჯერ არ არის ბოლომდე დამარცხებული.

– ისლამური სახელმწიფო ჯერ კიდევ საფრთხეს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ერაყსა და სირიაში იგრძნობა, – თქვა პომპეომ.

მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ახლო აღმოსავლეთში გააქტიურდა. მოსკოვი ყველაზე დესტრუქციულ ძალებთან არის ალიანსში. მისი აგრესიულობა დღითიდღე იზრდება.

– რუსეთი აშშ-ს ახლო აღმოსავლეთიდან ვერ განდევნის! ჩვენ საკმაო მხარდაჭერა გვაქვს საუდის არაბეთიდან, ერაყიდან, რეგიონის სხვა ქვეყნებიდან! მოსკოვის ყველა ქმედებას საკადრისი პასუხი გაეცემა, – ამბობს პომპეო.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის წინადადებით მიღებულ იქნა განცხადება სირიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მას ხელი მოაწერეს აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, საუდის არაბეთის, დიდი ბრიტანეთის, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ სირიის კონფლიქტი სამხედრო გზით ვერ გადაწყდება. აუცილებელია პრობლემის პოლიტიკურ ჭრილში გადაწყვეტა.

– სირიის საკითხის სამხედრო გზით გადაწყვეტის ნებისმიერი მცდელობა კრახისთვის არის განწირული! ეს მხოლოდ ესკალაციას გამოიწვევს, – ნათქვამია განცხადებაში.

გერმანიის საგარეო მინისტრმა გუაიდოს სოლიდარობა გამოუცხადა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაასი ვენესუელის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელ გუაიდოს დაუკავშირდა.

მაასმა მას სრული სოლიდარობა გამოუცხადა.

– იმედი მაქვს, ვენესუელაში თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება! – განაცხადა მაასმა.

გუაიდომ გერმანელ მინისტრს მადლობა გადაუხადა. მან ხაზი გაუსვა, რომ ვენესუელა ერთხელ და სამუდამოდ დემოკრატიის გზაზე დადგება.

– მადუროს რეჟიმი ტოტალიტარიზმის უკანასკნელი ბასტიონია! ჩვენი ხალხი მას დაამხობს, – თქვა გუაიდომ.

გაერო: ჩრდილოეთ კორეა სანქციების გვერდის ავლას ცდილობს

გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კორეა თავისი ბირთვული არსენალის შენარჩუნებას ცდილობს. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ქვეყანამ სანქციებს გვერდი აუაროს.

ამავე დროს, აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი მიიჩნევს, რომ ფხენიანთან მოლაპარაკებებზე მიღწეულია უდიდესი პროგრესი. თებერვლის ბოლოს კი ვიეტნამში აშშ-ჩრდილოეთ კორეის მორიგი სამიტი იგეგმება.

– მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, – ამბობს ტრამპი.

აშშ-ის პრეზიდენტი აღიარებს, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

– წინ უდიდესი სამუშაო გველის, – თქვა ტრამპმა



ბრექსიტთან დაკავშირებული შეთანხმების გადახედვა გამორიცხულია

ევროსაბჭოს თავმჯდომარე დონალდ ტუსკი ირლანდიის პრეზიდენტ ლეო ვარადკარომს შეხვდა.

პრესკონფერენციაზე ტუსკი ბრექსიტის საკითხებსაც შეეხო.

– ბრექსიტთან დაკავშირებული შეთანხმების გადახედვა გამორიცხულია! – განაცხადა ტუსკმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დედის გარდაცვალების თარიღმა ამერიკელს მსხვილი მოგება მოუტანა

ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრმა ნახევარი წლის განმავლობაში მეორედ გაიმარჯვა ლატარიაში. ორივე შემთხვევაში მან ერთი და იმავე რიცხვებით ისარგებლა.

2018 წლის აგვისტოში მამაკაცმა ერთი დოლარი დადო ვირტუალურ დოღზე, ცხენების ნომრებად აირჩია რიცხვები, რომლებიც დედის გარდაცვალების თარიღს ემთხვეოდა. მისმა მოგებამ მაშინ ათი ათასი დოლარი შეადგინა.

მან კიდევ რამდენიმეჯერ ცადა თამაში და ამისთვის საკუთარი დედის ცხოვრებიდან მნიშვნელოვან თარიღებს არჩევდა, მაგრამ წარმატების გამეორებას ვერ ახერხებდა. მაშინ მამაკაცი ისევ დედის გარდაცვალების თარიღს დაუბრუნდა და მეორედაც მისმა მოგებამ 10 ათასი დოლარი შეადგინა.

მამაკაცი მოგებული თანხის ნაწილის თავისი ქალიშვილისთვის მიცემას აპირებს, ხოლო დარჩენილ თანხას სახლის შეკეთებას მოახმარს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველო აზიამ დააქვეითა

საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში 2 საფეხურით დაქვეითდა და 91-ე ადგილზეა.

ვლადიმირ ვაისის გუნდის რეგრესზე აზიის თასმა იმოქმედა. მაგალითად, გაგვასწრეს უზბეკეთმა და ყატარმა. მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი მასპინძელი ყატარი სულაც აზიის ჩემპიონი გახდა და 93-დან 55-ე ადგილამდე აღზევდა. 38 საფეხურით! აზიის თასზე რამდენიმე წარმატებული თამაში ჰქონდა უზბეკეთსაც, ხოლო ევროპული გუნდები ამ დროს ისვენებდნენ. ასე რომ, ეს ვარდნა „დაანონსებულიც“ იყო.

უშუალოდ ევროპაში საქართველო მე-40 საფეხურზეა. ერთა ლიგაზე ჩვენი მომავალი მეტოქე ბელარუსი – 78-ზე.

რაც შეეხება მეტოქეებს ევროშესარჩევ ჯგუფში, რომელიც მარტში დაიწყება: ჩვენი 2 მეტოქე რეიტინგის ათეულშია: შვეიცარია (მე-8) და დანია (მე-10), ირლანდია 34-ე ადგილზეა, ხოლო გიბრალტარი – 194-ზე.

ლიდერობს ბელგია, რომელიც 1 ქულით უსწრებს მსოფლიო ჩემპიონ საფრანგეთს.

საუკეთესო ათეულში ცვლილება არ მომხდარა:

1. ბელგია – 1.727 ქულა; 2. საფრანგეთი – 1.726; 3. ბრაზილია – 1.676; 4. ხორვატია – 1.634; 5. ინგლისი – 1.631; 6. პორტუგალია – 1.614; 7. ურუგვაი – 1.609; 8. შვეიცარია – 1.599; 9. ესპანეთი – 1.591; 10. დანია – 1.589.

ჭიდაობის სკანდალი „ჰეფი ენდით“ სრულდება

როგორც ჩანს, საქართველოში დაუსჯელობის სინდრომი კვლავაც აქტუალურია. მთავარია, პატრონი ან „კრიშა“ გყავდეს და, რაც გინდა, აკეთე.

ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილისა და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ გეგა გეგეშიძეს შეხვედრის შემდეგ.

საუბარი შეეხო ქართულ ჭიდაობაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს და გეგეშიძის დაპირისპირებას მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილთან. როგორც ჩანს, გეგეშიძე თანამდებობაზე დარჩება, დათუნაშვილმა კი შეიძლება დისკვალიფიკაცია მიიღოს.

რა გვაძლევს ასეთი ვარაუდების უფლებას? ის კომენტარები, რომლებიც ჟურნალისტებთან გეგეშიძემ და ყაველაშვილმა გააკეთეს.

გეგა გეგეშიძე:

– ყველაფერი დეტალურად გავიარეთ. შევჯერდით იმაზე, რომ ჩატარდება პრეზიდიუმის სხდომა, ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ და გადავწყვეტთ. დაველოდოთ პრეზიდიუმის სხდომას.

რა თქმა უნდა, ვნანობ ჩემს საქციელს, ეს არ არის კარგი. ამ ყველაფერს ჰქონდა ძალიან ბევრი გამოხმაურება. სპორტსმენმა უნდა გააგრძელოს ვარჯიში. ლიცენზიების მოპოვების წელია და ეს, რა თქმა უნდა, აისახება ფედერაციაზე. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ლიცენზია მოვიპოვოთ, რომ მეტი ადამიანი მოხვდეს ოლიმპიადაზე. უნდა მოვრჩეთ კინკლაობას.

რაც შეეხება ჩემი პრეზიდენტად დარჩენას, ამაზე სწორედ პრეზიდიუმი იმსჯელებს – ჩატარდება სხდომა და მოჭიდავეები განიხილავენ ყველა საკითხს. იქ გადაწყდება, ვინ დარჩება და ვინ არა. პრეზიდიუმი ასევე განიხილავს მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილის დისკვალიფიკაციის საკითხს.

მიხეილ ყაველაშვილი:

– ჭიდაობის ფედერაცია ამ უახლოეს პერიოდში მოიწვევს ფართო საზოგადოებას, პრეზიდიუმს, იმ ადამიანებს, ვინც ჭიდაობის ეპოქას ქმნიდა ქვეყანაში, ვეტერან სპორტსმენებს და ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

ამ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს ზურაბ დათუნაშვილიც. მნიშვნელოვანია, პრობლემები შიგნით გადაწყდეს და გარეთ არ გამოვიდეს. შესაძლოა, პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობა მეც მივიღო და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელმაც. რაც შეეხება გეგეშიძის თანამდებობის დატოვებას, მოდით, თავი დავანებოთ სპეკულაციებს. მთავარია ჩვენთვის ჭიდაობა და ის წარმატებები, რომლებიც იყო და არც ერთი მოჭიდავე არ იყოს დაჩაგრული, ყველა სპორტსმენს ჰქონდეს სრულყოფილად მომზადების და საქმიანობის საშუალება.

დეტალებში ნუ წავალთ, რა და როგორ მოხდა, ათასჯერ ვისაუბრეთ ამაზე, ყველამ დაგმო ეს ფაქტი და ეს ადამიანიც ნანობს ამას. ვის შეიძლება მოსწონდეს ეს საქციელი?

პარიზის გრანდ სლემის შემადგენლობა ცნობილია

9-10 თებერვალს წლის პირველ გრანდ სლემს პარიზი უმასპინძლებს. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ტურნირში ახალი მთავარი მწვრთნელითა და 11 სპორტსმენით გამოვა. ზედ პარიზის გრანდ სლემის წინ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებში სამწვრთნელო ცვლილება მოხდა – გურამ მოდებაძემ თანამდებობა დატოვა, მისი ადგილი კი ნოდარ მეტრეველმა დაიკავა.

საქართველოს ვაუ ძიუდოისტთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა პარიზის გრანდ სლემისთვის ცნობილია. გუნდში კვლავაც არ არის მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი მძიმეწონოსანი გურამ თუშიშვილი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა. არც 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში არიან წონის ლიდერები. გადახალისებული შემადგენლობითა ყველაზე მსუბუქი წონაც.

მოკლედ, **საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე (60კგ); ვაჟა მარგველაშვილი, ნიკო ჭიკაიძე (66), ლაშა შავდათუაშვილი, ლაშა გიუნაშვილი (73), კობა მჭედლიშვილი (81), ვარლამ ლიპარტელიანი, ლაშა ტაველური (100), ონისე ბუღაძე, გიორგი ზაქარიაძე (+100);

შეგახსენებთ, რომ პარიზში გამართულ შარშანდელ გრანდ სლემზე საქართველოს ნაკრებმა 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ვიცე-ჩემპიონები ლაშა შავდათუაშვილი (73) და ბექა ღვინიაშვილი (90) გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილზე კი ნუგზარ ტატალაშვილი (90) და ვარლამ ლიპარტელიანი (100) გავიდნენ.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალს ახალი გამარჯვებული ეყოლება

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალური ტურნირის ფინალში ერთმანეთს თბილისური გუნდები – დელტა და თსუ-ჰიუნდაი შეხვდებიან. აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი თსუ-ჰიუნდაელები სუპერლიგის დებიუტანტები არიან, დელტა კი უმაღლეს ლიგაში მხოლოდ მეორე სეზონს ატარებს. არადა, ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდი მიმდინარე სეზონში უკვე მეორე ფინალს თამაშობს – დელტამ სეზონის დასაწყისში დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირის ფინალი მოიგო, ამჯერად კი ქორქია-საკანდელიძის მემორიალში გამარჯვებასაც ეცდება.

კაკტუსი-ოლიმპი 85:71

(18:27, 26:10, 20:11, 21:23)

ჯგუფური ეტაპის ბოლო, მე-3 ტურის პირველი შეხვედრა, რომელშიც კაკტუსი და ოლიმპი შეხვდნენ, სატურნირო თვალსაზრისით უმნიშვნელო იყო. ორივე გუნდს გასული მატჩები წაგებული ჰქონდა და ტურნირის ბოლო მატჩში პრესტიჟისთვის თამაშობდნენ.

ოლიმპის მწვრთნელმა დიმიტრი ჯაკობოვმა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მარკ ოგდენი დაასვენა, დანარჩენებზე კი სათამაშო დრო მეტ-ნაკლებად თანაბრად გადაანაწილა. აქედან გამოჩნდა, რომ მატჩის შედეგს ოლიმპელთათვის ჩვეულებრივზე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვება კაკტუსს დარჩა, რომელმაც პირველი პერიოდი 18:27 დათმო, თუმცა მომდევნო პერიოდებში (26:10, 20:11) იმხელა უპირატესობა მოიპოვა, რომ დამჯერებელი გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა – 85:71.

კაკტუსს 19 ქულით დელანო სპენსერმა ულიდერა. 15 ქულა და 5-5 მოხსნა-პასი მიითვალა ლუკა ზაქრაძემ, 12 ქულა კი ოთარ ამონაშვილის ანგარიშზე დაგროვდა. ოლიმპში 26 ქულით საუკეთესო რეჯი ბეიჯერი.

დინამო-მგზავრები 84:61

(15:11, 30:20, 21:19, 18:11)

ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგული ჰქონდათ მეორე მატჩის მონაწილეებსაც, მაგრამ შეხვედრის შედეგს სატურნირო თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მატჩი მგზავრებს რომ მოეგო, ამ ჯგუფის დანარჩენი წევრების – ბათუმისა და დელტას დაპირისპირებაში ზღვისპირელებს ჯგუფიდან გასასვლელად ნებისმიერი სხვაობით გამარჯვება ჰყოფნიდა. ხოლო თუ დინამო იმარჯვებდა, მაშინ ბათუმს 22 ქულით უნდა დაემარცხებინა მეტოქე.

გაიმარჯვა დინამომ – 84:61, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ ერთი ფინალისტი დელტა იქნებოდა. ირაკლი ხოშტარიას გუნდმა საკმაოდ იოლად იმარჯვა – ოთხივე მეოთხედი დამჯერებლად ჩაატარა და მგზავრებს შანსი არ დაუტოვა. თუმცა, მგზავრებმა შეხვედრა ლიდერების – ადრიან ბოუის, კახა ჯინჭარაძის და ჯეიკობ არმსტრონგის გარეშე ჩაატარა.

დინამოელებს 20 ქულით და 9 პასით რეჯერ დოუელმა ულიდერა. 21 ქულა დააგროვა ჯორდან სვოპშირმა, ხოლო 16 – დემაგიო ბუბალომ. მგზავრებში 11 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო ირაკლი ბეშქენაძე. 12 ქულა დააგროვა რეზო ჩაჩანიძემ.

ბათუმი-დელტა 93:94 (ოტ)

(28:19, 15:26, 20:22, 19:15, 11:12)

მას შემდეგ, რაც დინამომ მგზავრებს მოუგო, ფაქტობრივად გადაწყდა, რომ ფინალში დელტა გავიდოდა. ესე რომ არ მომხდარიყო, ბათუმს დელტელები 22 ქულით უნდა დაემარცხებინა, მაგრამ ამ გუნდებს შორის რეალურად ამხელა სხვაობა არ არის და ეს თავად შეხვედრამაც დაადასტურა.

მატჩის ძირითადი დრო ფრედ – 82:82 დასრულდა, დამატებით დროში კი დელტამ ქულით იმარჯვა და შეხვედრა 94:93 მოიგო.

ფინალისტებს 17 ქულით და 10 მოხსნით ბექა ბექაურმა ულიდერა. 15 ქულა და 10 პასი ოთარ ფხაკაძის ანგარიშზეა. 16 ქულით დაასრულა შეხვედრა მალკოლმ დრამრაითმა. ბათუმში 39 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი ჰქონდა ქეისი შეპარდს. 16 ქულა და 8 მოხსნა სტეფან ანდრეევიჩის ანგარიშზეა.

თსუ ჰიუნდაი-ქუთაისი 91:80

(12:23, 31:17, 18:21, 30:19)

დაბოლოს ჯგუფური ეტაპის უკანასკნელი შეხვედრა, რომელსაც მეორე ფინალისტი უნდა გაერკვია. როგორც თავში ვთქვით, სატიტულო მატჩში თსუ-ჰიუნდაი გავიდა, რომელმაც ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის ბოლო 3 წლის უცვლელი ჩემპიონი ჩემპიონი ქუთაისი 91:80 დაამარცხა.

მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. საბოლოოდ დაფიქსირებული 11-ქულიანი სხვაობა რეალურად არ ასახავს იმ ბრძოლას, რაც მატჩის მანძილზე მიმდინარეობდა. შეხვედრის დასრულებამდე 3:45 წუთით ადრე ანგარიში მხოლოდ მინიმალური სხვაობა (74:73) იყო სტუმართა სასარგებლოდ. შეხვედრის დასკვნითი წუთები ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა თბილისურმა გუნდმა უკეთ ჩაატარა. ჯეიმს მილიკენის, ვიკტორ ნიკერსონისა და გიორგი კორსანტიას ჩაგდებული ბურთების შემდეგ თსუ-ჰიუნდაიმ გასამარჯვებლად საკმარისი უპირატესობა მოიპოვა – 88:80.

დარჩენილ 1 წუთში ქუთაისელებმა ვერაფერი შეცვალეს და პირველად, საკუთარ კედლებში გამართული მემორიალის ფინალი მათ გარეშე ჩაივლის.

თსუ-ჰიუნდაელებს 23 ქულით ჯეიმს მილიკენმა ულიდერა. 16 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა გიორგი კორსანტიამ, 13-13 ქულა კი რატკო პეტრიჩისა და კორი სანდერსის ანგარიშზე დაგროვდა. ამ უკანასკნელმა, რომელიც ა ლიგის ბინადარ მეგა ბასკეტის წევრია, თსუ-ჰიუნდაის მხოლოდ მიმდინარე მემორიალზე ეხმარება, 8 პასიც მიითვალა. სანდერსი ფინალის შემდეგ თავის გუნდს დაუბრუნდება. ქუთაისში 18 ქულით დეეუან რაიტი გამოირჩა. 13 ქულა ჰქონდა აკაკი ლომოურს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ფეხბურთი

6 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰიემიეჩლიგა

ევერტონი-სიტი 0:2

საატჩინიო ცხრილი:

1.სიტი	26	20	2	4	68-20	62
2.ლივერპული	25	19	5	1	56-15	62
3.ტოტენჰემი	25	19	0	6	51-24	57
4.ჩელსი	25	15	5	5	45-23	50
5.მანჩესტერი	25	14	6	5	49-35	48
6.არსენალი	25	14	5	6	51-36	47
7.ვულვზი	25	11	5	9	33-32	38
8.უოტფორდი	25	9	7	9	33-34	34
9.ევერტონი	26	9	6	11	36-38	33
10.ბორნმუთი	25	10	3	12	37-44	33
11.ლესტერი	25	9	5	11	30-31	32
12.ვესტ ჰემი	25	9	5	11	31-38	32
13.ბრაიტონი	25	7	6	12	27-36	27
14.კრ.პალასი	25	7	5	13	26-33	26
15.ნიუკასლი	25	6	6	13	21-33	24
16.საუთჰემპტონი	25	5	9	11	27-42	24
17.ბარნლი	25	6	6	13	26-46	24
18.კარდიფი	25	6	4	15	22-46	22
19.ფულემი	25	4	5	16	25-55	17
20.ჰადერსფილდი	25	2	5	18	13-46	11

ესპანეთი. სამეფო თასი

ბარსელონა-რეალი 1:1

გერმანია. თასი

ლაიპციგი-ვოლფსბურგი 1:0

კილი-აუგსბურგი 0:1

ჰერტა-ბაიერნი ..... 2:3(დდ)

შალკე-ფორტუნა 4:1

ჰოჰტუგაღია. თასი

ბენფიკა-სპორტინგი 2:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-თუნი 1:3

სტ.გალენი-ციურიხი 3:1

მოტლანდია. ჰიემიეჩლიგა

აბერდინი-რეინჯერსი 2:4

ჰამილტონი-სტ.ჯონსონი 2:1

სელტიკი-ჰიბერნიანი 2:0

სტ.მირენი-მოზერელი 1:2

დანდი-კილმანროკი 2:2

ჰართსი-ლივინგსტონი 0:0

ჯოშუა კიმიხი: „ბაიერნის ფეხბურთელს უნდა შეგეძლოს რამდენიმე პოზიციაზე თამაში“

გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის ბაიერნის განაპირა მცველის, ჯოშუა კიმიხის ინტერვიუ „რეკორდმაისტერის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– როგორ შეიძლება აჩვენო კარგი თამაში სრული 90 წუთის განმავლობაში?

– სწორედ ამაზე ვმუშაობ ახლა. მნიშვნელოვანია დისციპლინირებული თამაში.

– შტუტგარტთან მატჩში 2 საგოლე პასი გააკეთე და მოცემულ მომენტში ბუნდესლიგის საუკეთესო ასისტენტთა ჩამონათვალში შედიხარ. საგოლე პასებითაც ისეთივე ბედნიერი ხარ, როგორც გატანილი გოლების შემთხვევაში?

– რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვარ, როდესაც ჩემი პასით გააქვთ ან გოლს ვიტან. პირველ რიგში იმიტომ, რომ ამით გუნდს ვეხმარები. თუმცა ბედნიერებას განვიცდი იმ შემთხვევაშიც თუ საგოლე ეპიზოდში არ ვმონაწილეობ. ჩემი უპირველესი მიზანი ეს დაცვაა. ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ რაც შეიძლება ცოტა გოლი მივიღოთ ან საერთოდ ავიცილოთ ისინი თავიდან. ამ კუთხით ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო.

– რატომ ვერ ახერხებთ ხანდახან დაცვაში 100 პროცენტით კარგი თამაშის ჩვენებას?

– მოცემულ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია სრული 90 წუთის განმავლობაში დომინირება. პრობლემა მხოლოდ დაცვაში ან ნახევარდაცვაში არ არის. ხაზებმა ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა იმოქმედონ. სწორედ ამაზე გვმართებს მუშაობა.

– შესაძლოა, მწვრთნელმა როტაციას მიმართოს და ნახევარდაცვაში გიხილოთ. სერჟ გნაბრისა და ლეონ გორეცკასგან განსხვავებით, ერთ პოზიციაზე არ ხარ მიმაგრებული. რამდენად მნიშვნელოვანია ამგვარი უნივერსალურობა ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის?

– როდესაც ბაიერნის ფეხბურთელი ხარ, უნდა შეგეძლოს რამდენიმე პოზიციაზე თამაში. მიუნხენში 18-20 წლის ასაკში არავინ გეტყვის, რომ შენ მხოლოდ ფლანგზე უნდა ითამაშო. რამდენიმე პოზიციაზე თამაში შემიძლია და ამის დამსახურებით მოვხვდი გუნდში.

შემიძლია ცენტრალური მცველის, განაპირა მცველის ან სულაც ცენტრალური ნახევარმცველის ამპლუის მორგება. ამის გათვალისწინებით, მთავარ მწვრთნელს ექნება შესაძლებლობა, რამდენიმე ვარიანტი განიხილოს. ეს მეც ძალიან მეხმარება, თუმცა პერსპექტივაში შენ ერთი მთავარი პოზიცია უნდა აირჩიო.

– იღებ სიამოვნებას, როდესაც სხვადასხვა პოზიციაზე ერთგვარ წვრთნას გადიხარ?

– დიახ განსაკუთრებით ახლა, როდესაც შემიძლია ვითამაშო როგორც საყრდენ, ისე განაპირა ზონაში. ეს 2 კარდინალურად განსხვავებული პოზიციაა. ეს კარგია ჩემი განვითარებისთვის, შემიძლია სხვა კუთხით შევხედო თამაშს. ამ პროცესში ბევრ რამეს ვსწავლობ. მარჯვენა მცველს სულ სხვა მახასიათებლები მოეთხოვება, განსხვავებით საყრდენისგან. მთლიანობაში ეს მეხმარება ვიყო შემდგარი ფეხბურთელი.

– მაგალითისთვის შეგიძლია, რამდენიმე ასპექტი გამოყო?

– ორივე პოზიციაზე ბევრი სირბილია საჭირო, მაგრამ მარჯვენა მცველი ახორციელებს უფრო მეტ დატვირთვას, აჩქარებას, განსხვავებით საყრდენისგან, რომლის მიზანია პოზიციის დაკავება და კონკრეტულ ზონაში გადაადგილება. მარჯვნივ შენ შეზღუდული ხარ გვერდითი ხაზით, ცენტრში კი შეგიძლია მიიღო პასი ნებისმიერი მხრიდან და თავადაც გაგზავნო შეუზღუდავად.

ცენტრში ყოველთვის გრძნობ, რომ თამაშში ხარ ჩართული, ფლანგზე ეს მუდამ ასე არ არის. მარჯვენა მცველის ამპლუაში თამაშის დროს მეტოქის წინააღმდეგ ხშირად ერთი ერთზე გიწევს ასპარეზობა, ცენტრში კი შენ ირგვლივ ყოველთვის არიან თანაგუნდელები, რომელთაც შეუძლიათ დახმარების გაწევა.

– 8 თებერვალს 24 წელი შეგისრულდება. რას უსურვებდი საკუთარ თავს მიმდინარე საფეხბურთო სეზონში?

– სპორტული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, კვლავ მსურს, გერმანიის ჩემპიონობა ვიზეიმო, თუმცა დორტმუნდი მოცემულ მომენტში კარგ ფორმაშია. ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავს არ ვუყურებთ, წინ მრავალი რთული დავალება გველის, რომელზეც კონცენტრირება აუცილებელია.

სიტუაცია წელს განსხვავებულია, ჩვენ პირველ ადგილზე არ ვართ. თითოეულ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მარცხის უფლება არ გაგვაჩნია. გერმანიის თასის მოგებაც გვინდა. უეფას ჩემპიონთა ლიგაზე კი მოუთმენლად ველი ლივერპულთან მატჩს.

საკუთარ თავს კი, პირველ რიგში, ჯანმრთელობასა და ბევრ კარგ შეხვედრას ვუსურვებდი.

მამაკაცმა რამდენიმე წლის წინ თავისი მომავალი შეყვარებული გადაარჩინა



ჩინეთში მამაკაცმა სისხლი გაიღო მისთვის სრულიად უცნობი გოგონას გადასარჩენად, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ კი ის მისი შეყვარებული გახდა.

2008 წელს ტაივანის ქალაქ სინჩჟუს მცხოვრები ლინ სიაოფენი მძიმე ავარიაში მოყვა. მისი სიცოცხლის გადასარჩენად ექიმებს მისთვის დაახლოებით ხუთი ლიტრი სისხლის გადასხმა დასჭირდათ, ასევე – ტრომბოციტური კონცენტრატი. ლინი გადარჩა, მაგრამ მას კოაგულოპათია – სისხლის შედედების დარღვევა განუვითარდა. ამიტომ დროდადრო ახალი გადასხმები სჭირდებოდა. 2011 წელს ის ისევ საავადმყოფოში აღმოჩნდა და მისი გადარჩენა მხოლოდ დონორის სისხლს შეეძლო.

2017 წელს გოგონა სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად და იქ ლიან ჩჟიჩენი გაიცნო, რომელიც სისხლის დონორი იყო. ახალგაზრდების ურთიერთობა ძალიან სწრაფად დალაგდა და ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ერთმანეთის მიმართ „განსაკუთრებულ კავშირს“ გრძნობდნენ. ერთხელაც ლინმა მეგობარ მამაკაცს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ უამბო, რაზეც მან უპასუხა, რომ ის სწორედ იმ დროს რეგულარულად აბარებდა სისხლს.

ლიანი საავადმყოფოში მივიდა და საკუთარი დონორის მოწმობით გადაამოწმა, თუ ვის უსხამდნენ მის სისხლს. აღმოჩნდა, რომ მის სისხლს სწორედ მის შეყვარებულს უსხამდნენ, რამაც გააკვირვა და, იმავე დროს, გაახარა კიდეც.

მამაკაცს ოთხი წელი გულში კბილის ჯაგრისი ჰქონდა გაყრილი

ჩინეთის მკვიდრმა გულიდან კბილის ჯაგრისის მოშორების ოპერაცია გადაიტანა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან თითქოსდა ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის დროს კბილის ჯაგრისი გადაყლაპა.

29 წლის მამაკაცი, გვარად ჩჟოუ, საავადმყოფოში მაღალი ტემპერატურით მოხვდა. ექიმებმა გამოკვლევების ჩატარების დროს მარჯვენა ფილტვთან უცნობი საგნის ჩრდილი შენიშნეს, ასევე დაადგინეს ანთება გულის მიდამოში.

ოპერაციის დროს ქირურგებმა პაციენტის გულის ერთ-ერთ კამერაში ექვსსანტიმეტრიანი კბილის ჯაგრისი აღმოაჩინეს, რომელიც, სავარაუდოდ, სასუნთქი ორგანოდან მოხვდა ორგანიზმში, გახვრიტა მარჯვენა ფილტვი და გულში შეერჭო.

ახალგაზრდა მამაკაცმა ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ კბილის ჯაგრისს მუდმივად დებდა სასმელში. ის ასეთი საშუალებით „ნიშნავდა“ თავის ბოკალს. მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დაახლოებით ოთხი წლის წინ იგრძნო და ამ ხნის განმავლობაში საკუთარ მკურნალობაზე 22,7 ათასამდე ფუნტი სტერლინგი დახარჯა.

ჩჟოუს მუდმივად აწუხებდა ფილტვების ანთება და მაღალი ტემპერატურა, თუმცა ექიმები მისი გამუდმებული ავადმყოფობის მიზეზის დადგენას ამ დრომდე ვერ ახერხებდნენ. ერთი სპეციალისტი ამტკიცებდა, რომ მას ლეიკემია ჰქონდა, მეორე სეფსისის დიაგნოზს სვამდა.

ექიმების მტკიცებით, მამაკაცს დროული სამედიცინო დახმარების მეოხებით ორგანოების სერიოზული დაზიანება არ მიუღია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კახი კალაძე ლეგენდების მატჩში ითამაშებს

Legends
MILAN GLORIE
Sander Westerveld
Jerry Dudek
Sami Hyypia
Jason McAteer
Bjorn Tore Kvarme
Alan Kennedy
Djimi Traore
Dietmar Hamann
Jon Arne Riise
Harrik Berger
Steve McManaman
Vladimir Smicer
Salif Diao
Luis Garcia
Hobbie Fawner Captain
Ian Rush Additional Player Manager
John Aldridge
Gillon Crow
Dirk Kuyt
Michael Owen
GK
GK
D
D
D
D
D
D
D
D
M
M
M

შავი პრინცის უკანასკნელი კლიპი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა

მომღერალ აკაკი ბაბუნაშვილის, მეტსახელად შურიკას უკანასკნელი კლიპი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე შავი პრინცი ნანუკას შოუს ესტუმრა და თავისი ახალი ვიდეორგოლი მიიტანა.

10-წლიანი დაბრუნება ხელოვანისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. სიმღერაში წინასწარმეტყველური ფრაზაც არის: „ეს-ემ-ესი მომდის, თარიღი ჩემი გარდაცვალების და სურათი მკვდარი რეპერების...“

შავი პრინცის უკანასკნელი სიმღერის პრემიერა „ნანუკას შოუში“ გაიმართა. გადაცემაში მომღერალმა თავის დეპრესიულ ცხოვრებაზე ისაუბრა, რომელიც 5-6 წელს გაგრძელდა, თუმცა საბოლოოდ მან სცენაზე დაბრუნება გადაწყვიტა და ამაში ერთგულ მსმენელსა და მეგობრებს ემადლიერებოდა.

ვაჟა აზარაშვილი მონატრებულ მსმენელს შეხვდება

კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი მონატრებულ მსმენელს 8 თებერვალს შეხვდება.

კომპოზიტორის შემოქმედებით საღამოზე, რომელსაც თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე გაუძღვება, აჟღერდება ვაჟა აზარაშვილის მიერ დაწერილი ცნობილი სიმღერები.

კომპოზიტორის შემოქმედებით საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მერაბ სეფაშვილი, სოფო გელოვანი, ივა ჭყონია, თეატრალურის კვარტეტი და მაგდა ნიკოლეიშვილი.

როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ეს იქნება კიდევ ერთი ლამაზი თბილისური საღამო უკვდავი ჰანგებით.

ხატია ბუნიათიშვილმა ახალი ალბომი ჩაწერა

პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა ახალი ალბომი ჩაწერა.

კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის კომპანია „სონის“ მიერ ჩაწერილი ალბომის პრემიერა 22 მარტს გაიმართება.

ალბომი კომპოზიტორ შუბერტის შემოქმედებას გააერთიანებს.

ხატია ბუნიათიშვილი:

– გიყვარს შუბერტი, ე.ი. აღიქვამ სილამაზეს, მშვენიერებას, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების ჩრდილქვეშ იმალება და, რა თქმა უნდა, გესმის მოთმინების ხელოვნება.

ავთო ვარსიმაშვილი ლექციას წაიკითხავს



რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი თავისუფალ თეატრში ლექციას წაიკითხავს.

9 თებერვალს დანიშნული ლექციის თემაა „შექსპირი. ინტერპრეტაცია“. 3-საათიან ლექციაზე დამსწრეები შეიტყობენ, როგორ ითამაშონ და როგორ დადგან შექსპირი, რა არის შექსპირისთვის მთავარი და არამთავარი.

ადგილების შეზღუდვის გამო ღონისძიების ორგანიზატორებმა დამსწრეთა წინასწარი ჩაწერა გადაწყვიტეს.

გურანდა გაბუნია დიდუბის პანთეონში დაკრძალეს

მსახიობი გურანდა გაბუნია დიდუბის პანთეონში მეუღლის, ოთარ მეღვინეთუხუცესის გვერდით დაკრძალეს.

დაკრძალვამდე კი მსახიობთან გამომშვიდობება საზოგადოებამ მარჯანიშვილის თეატრში შეძლო. გურანდა გაბუნია უკანასკნელ გზაზე გააცილეს მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, პოლიტიკოსებმა და რიგითმა მაყურებლებმა. მსახიობი თეატრიდან ტაშით გააცილეს.

ნანუკა ხუსკივაძე, მსახიობი:

– ეს იყო ბობოქარი ენერგეტიკის მატარებელი ქალბატონი და ნამდვილი არტისტი. საოცარი ადამიანი იყო, ენერგიული, მხიარული, ნიჭიერი. გულსატკენია, რომ ასეთი ადამიანები მიდიან.

ზურა ბერიკაშვილი, მსახიობი:

– გურანდა გაბუნია ბავშვობიდან მახსოვს. ამ თეატრში გავიზარდე და შემდეგ ისე მოხდა, რომ მეც მსახიობი გავხდი. საბედნიეროდ, მქონდა ბედნიერება, მისი პარტნიორი ვყოფილიყავი. ეს იყო საოცარი ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი პროფესია.

დავით დვალიშვილი, მსახიობი:

– გურანდა ჩვენს თეატრს ავსებდა. გარდაიცვალა და თითქოს თეატრიც დაცარიელდა. შემოვიდოდა ენერგიული, მხიარული, ყველას თავისებურად მოესიყვარულებოდა. სამწუხაროა, რომ დაგვტოვა და წავიდა თავის ოთართან. მასაც სწორედ ეს უნდოდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მაია ასათიანი საავადმყოფოდან სახლში გაწერეს

გადაცემა „პროფილის“ წამყვანი მაია ასათიანი გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა.

მას ექიმებმა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაუწიეს და რამდენიმედღიანი დაკვირვების შემდეგ სახლი გაწერეს.

მაიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მისმა ბევრმა ერთგულმა მაყურებელმა განიცადა. უმრავლესობამ იგი გაამხნევა და მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

გამოკეთების შემდეგ განცხადება ტელეწამყვანმაც გააკეთა და ერთგულ მაყურებელს ახარა, რომ თავს უკეთესად გრძნობს და უკვე სახლშია.

სამღერეთში უძველესი ეკლესია ინგრევა


Kakha Khimshiashvili photo

სამღერეთში უძველესი ეკლესია ინგრევა, სასახლე კი მაყვლის ბარდებით ისეა დაფარული, რომ შიგნით შესვლა შეუძლებელია.

კახა ხიმშიაშვილი:

– სამღერეთში პირველად ვიყავი 2006 წელს და მეორედ – რამდენიმე დღის წინ. ამ 13 წლის განმავლობაში ძალიან უკან წავიდა სამღერეთის საქმე და ჩამოქცევის პირას არის. თავი გავანებოთ იმას, რომ ისეა გაჯაგებული და მაყვლის ბარდებით დაფარული, რომ სასახლეში საერთოდ ვერ შევედი.

ბზარებია გადიდებული, განსაკუთრებით სავალალო დღეშია ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, რომელსაც მთელ სიგრძეზე ჩამოუყვება ვერტიკალური ბზარი.

სამგლოვიარო განცხადებები

თანავუგრძნობთ ღრმა მწუხარებაში მეუღლეს – მაია ნიკოლაძეს, ვაჟიშვილებს ივასა და ნიკუშას ოჯახებით, სიდედრს, ქალბატონ დოდოლიას, დებს მანანასა და მარინა ზოდელავებს კეთილშობილი, ჰუმანური და გულისხმიერი

ვანიკო ზოდელავას

გარდაცვალების გამო.

ნათესავები:

კუსუნა და გოჩა მზარელუები, ალეკო დოლბაია

თამაზ გასვიანის გახსენება



თამაზ, 6 წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. მოვდივართ შენს საფლავთან, ვანთებთ სანთლებს და ვეფერებით შენს სურათს. გასული დრო ჩვენთვის მკურნალი არ არის. ისევ ჩვენი მოუშუშებელი და მოუნელებელი ტკივილი ხარ. შენთან ერთად ძლიერები ვიყავით. სამუდამოდ გაქრა სიხარული. უშენობამ სევდად გვაქცია და ყველაფერი გაუფერულდა, ერთბაშად ყველაფერმა აზრი დაკარგა. უმძიმესია ამ ტრაგედიასთან, ტკივილთან და მონატრებასთან შეგუება. გვენატრები და დიდ სიცარიელეს ვგრძნობთ უშენოდ. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ყველას ახსოვხარ სოფელშიც და ქალაქშიც შენი ვაჟკაცური და უღალატო თვისებების გამო.

თამაზ, რვა თვეა, შენთან წამოვიდა შენით გამწარებული დედა, რომელიც 5 წელი უშენოდ იტანჯებოდა, სულ ამბობდა, ჩემს თამაზთან მინდა წასვლაო. იმედია, ერთად იქნებით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ვაჟკაცო ძმაო!

ვახტანგ და ციცო გასვიანები

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბიძინა ნიკოლოზის ძე სხირტლაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ეჭვიანმა გოგონამ შეყვარებულის უცხოთა ყურადღებისგან დაცვის საშუალებას მიაგნო

ეჭვიანმა გოგონამ თავის შეყვარებულს აჩუქა მაისური, რომელიც, მისი აზრით, მას უცნობ გოგონებთან არასასურველი ურთიერთობისგან დაიცავს. მან შეყვარებულთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი, რომელზე მის მიერ ნაჩუქარი ნივთიცაა ასახული, ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

სურათზე ბედნიერი ჰოლი კოკერილი თავისი შეყვარებულის კარლ ჰენანის ზურგს უკნიდან იყურება. ახალგაზრდა მამაკაცს კი მის მიერ ნაჩუქარი მაისურის გამო სახეზე აშკარა უკმაყოფილება ეტყობა.

– არა მგონია, კარლს ახალი მაისური მოსწონდეს, რომელიც დაბადების დღეზე ვაჩუქე, – დაწერა კომენტარში გოგონამ და იქვე დაამატა, – ამაყად ატარე, ძვირფასო.

ინტერნეტმომხმარებლების შეხედულებები გოგონას საჩუქრის თაობაზე ორად გაიყო. ერთნი კოკერილის ქმედებას საკუთარი რწმენის უქონლობად მიიჩნევენ და მის საქციელს „ბავშვურს“ უწოდებენ, მეორე ნაწილი კი მისმა არასტანდარტულმა იდეამ აღაფრთოვანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ყოფილმა მშენებელმა შიშველ დამლაგებლად დაიწყო მუშაობა და არ ინანა

დიდ ბრიტანეთში 26 წლის მამაკაცმა მშენებლობაზე მუშაობას თავი დაანება და საკუთარი კლინინგური კომპანია დააარსა. დამლაგებელი სამუშაოს ყოველგვარი ტანსაცმლის გარეშე ასრულებს.

დენიელ ატკინმა თავისი ახალი კარიერა სულ ორი კვირის წინ დაიწყო. მისი მტკიცებით, მან ერთხელ მშობლებთან საუბარში იხუმრა, რომ დედიშობილა მდგომარეობაში დალაგება მისი ოცნების სამუშაოა, თუმცა მოგვიანებით მიხვდა, რომ ამის გაკეთება მართლაც უნდოდა. ბრიტანელის მტკიცებით, მას კლიენტების ნამდვილი შემოსევა აქვს.

შიშველ მდგომარეობაში (ის მხოლოდ რეზინის ხელთათმანებს იკეთებს) დალაგებაში ატკინი ერთ საათში 30 ფუნტ სტერლინგს იღებს. როგორც წესი, დალაგების დროს კლიენტები მას ოთახიდან ოთახში დაჰყვებიან და ესაუბრებიან. ბრიტანელის მომსახურებით სარგებლობენ საშუალო ასაკის როგორც ქალები, ისე მამაკაცები. ატკინისი ამტკიცებს, რომ მას საკუთარი გარეგნობის არ რცხვენია.

– დარწმუნებული, ვარ რომ ისინი ახალს ვერაფერს ნახავენ, – ხუმრობს ახალგაზრდა მამაკაცი.

ის კლიენტებს დამატებით მომსახურებასაც სთავაზობს – საათში 45 ფუნტად მზადაა ჩაცმულ მდგომარეობაში მათთან ჩახუტებისთვის.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6487

ევრო — 3.0187

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4325

100 რუსული რუბლი — 4.0293

ამინდის პროგნოზი 8 თებერვლისთვის

გარეტ ბეილი: „ზიდანთან მცირე კონფლიქტი მქონდა“

გარეტ ბეილმა თავის ყოფილ მწვრთნელ ზინედინ ზიდანზე ისაუბრა და თქვა, რომ ზოგჯერ მასთან მცირე კონფლიქტი ჰქონდა, მაგრამ ეს კონფლიქტი დიდხანს არ გრძელდებოდა ხოლმე.

ბეილმა ზიდანი, როგორც პროფესიონალი, ისე შეაფასა და მას მომავალში წარმატება უსურვა.

– ზიდანი თავისი საქმის პროფესიონალია, თუმცა ჩვენ გვქონდა მცირე უთანხმოებები, რომლებიც დიდხანს არ გრძელდებოდა. რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრაში ზიდანმა თადარიგში დამტოვა და ამან ძალიან გამაღიზიანა, – განაცხადა გარეტ ბეილმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– თუ ისეთ ქალს შეხვდები, რომელიც ყველაფერს გაპატიებს, შენ მიმართ იქნება კეთილი, ალერსიანი, ნაზი და კარგ საჭმელებსაც მოგიმზადებს, რას ეტყოდი?

– გამარჯობა, დედა...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– როდესაც ახლად დაქორწინებულები ვიყავით, შენ შენთვის პატარა ნაჭრებს ილაგებდი, მე კი დიდებს მიტოვებდი.

– მერე?

– ახლა კი პირიქით ხდება და მითხარი, აღარ გიყვარვარ?

– არაფერია ძვირფასო, უბრალოდ, ახლა გაცილებით უკეთ ამზადებ.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, სექსბომბას ვგავარ?

– უფრო – სექსმაშხალას.

– ეგ როგორ?

– დიდ ხმაურს იწვევ, თუმცა სანახავი მაინცადამაინც ბევრი არაფერია.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– შუა საუკუნეებში რომ ყოფილიყავი, კოცონზე დაგწვავდნენ, ძვირფასო...

– რა, ჯადოქარი ვარ?

– არა, ხის მორი!

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– რაღაცას გკითხავ და მიპასუხე დიახ ან არა. კარგი?

– კარგი, მკითხე.

– რატომ დასცინიან მამაკაცები ქერათმიან ქალებს?

– დიახ.

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– აი თქვენ მეუბნებით, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა ვიცხოვრო, ასეა ხომ?

– დიახ!

– მე კი გეტყვით, რომ პაპაჩემი, მთელი ცხოვრება სვამდა, სიგარეტს პირიდან არ იღებდა, იმდენ ქალებთანაა ნამყოფი, რომ ათ კაცს ეყოფოდა. 90 წლამდე მიაღწია და ახლაც ყოჩაღადაა. მისი ტყუპისცალი კი მხოლოდ რძეს სვამდა, მოწევაზე არც არასოდეს უფიქრია, ქალებთან საერთოდ არ ყოფილა და სამი თვის გარდაიცვალა. აი ასე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლუკას ვასკესი: „რეალი გამარჯვებას იმსახურებდა“

მადრიდის რეალის ნახევარმცველმა ლუკას ვასკესმა ბარსელონასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ის შედეგით უკმაყოფილოა და მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა. ვასკესის თქმით, რეალმა უკეთესად ითამაშა.

– მატჩის სადავეებს ვაკონტროლებდით და უნდა მოგვეგო, თუმცა მეორე ტაიმში ბარსელონამ ზეწოლა გააძლიერა და ეს ლოგიკურიც იყო, რადგან ისინი საკუთარ მოედანზე თამაშობდნენ. თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ, მაგრამ არა შედეგით, – განაცხადა ლუკას ვასკესმა.

ერნესტო ვალვერდე: „ყველაფერი მადრიდში გადაწყდება“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ რეალთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ყველაფერი მეორე მატჩში გადაწყდება და რეალის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია.

ვალვერდეს აზრით, მისმა გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია:

– რეალმა სწრაფი გოლი გაგვიტანა და ამან ჩვენი მდგომარეობა გაართულა. მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმი კარგად ჩავატარეთ და ანგარიში გავათანაბრეთ. ყველაფერი მადრიდში გადაწყდება.

ბარსელონაში შეხვედრა 1:1 დასრულდა, ხოლო განმეორებითი მატჩი 27 თებერვალს გაიმართება.

მარკუს რეშფორდი მანჩესტერიდან წასვლას აპირებდა

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდი მარკუს რეშფორდი, შესაძლოა, გუნდიდან წასულიყო, მაგრამ მოურინიოს გადადგომის შემდეგ მან აზრი შეიცვალა.

ისევე, როგორც პოგბას, რეშფორდსაც კონფლიქტი ჰქონდა მოურინიოსთან და მისი მწვრთნელობის დროს არცთუ ისე ხშირად თამაშობდა.

ოლე გუნარ სოლსკიაერთან რეშფორდს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს და ტვიტერზე ხშირად აქვეყნებს სოლსკიაერთან გადაღებულ სურათებს.

ეს ყველაფერი მოედანზე აისახება – მარკუსმა სოლსკიაერის მოსვლის შემდეგ უკვე 5 გოლის გატანა შეძლო.

მშობლებმა ბავშვი გაყიდეს და ფული გაიყვეს

ჩინელმა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა იპოვეს სამი წლის ბავშვი, რომელიც მშობლებმა დაახლოებით ერთი წლის წინ უცხო ოჯახს 120 ათას იენად მიჰყიდეს.

ბავშვი რვა თვის ასაკიდან ბებიასა და პაპასთან იზრდებოდა. თავიანთი ერთ-ერთი ვიზიტის დროს მშობლებმა ის წამოიყვანეს და 2018 წლის იანვარში ფულის სანაცვლოდ უცნობ ოჯახურ წყვილს საშვილებლად გადასცეს. აღებული თანხა მათ თანაბრად გაინაწილეს.

გასული წლის დეკემბერში ბავშვის პაპამ თავისი შვილი ციხეში ინახულა და იქ შეიტყო, თუ რა დაემართა მის შვილიშვილს. მისი განცხადების შემდეგ პოლიციამ ბავშვი მოძებნა. დნმ-ს ანალიზმა მისი პაპასთან ნათესაობა დაადასტურა.

ოჯახური წყვილი, რომელმაც ბავშვი იშვილა, დაკავებულია, ხოლო ნამდვილ დედასა და მამას სისხლის სამართლის სასჯელი ემუქრებათ. ჩინეთის კანონით, ბავშვებით ვაჭრობა ისჯება ხუთიდან ათ წლამდე პატიმრობით. თუმცა ისეთი შემთხვევებიც არის ცნობილი, როდესაც დამნაშავეები სიკვდილით დასჯეს.

ბავშვი პაპა-ბებიას დაუბრუნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

29 იანვრიდან

რევაზ ინანიშვილი

რჩეული მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

5 თებერვლიდან

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მონტესუმას ასული

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 თებერვლიდან



სულხან-საბა ორბელიანი

სიბრძნე სიცრუისა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

7 თებერვლიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 2. ჭაობის მცენარეთა ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა, იყენებენ საწვავად, სასუქად; 3. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 5. ისტორიული ციხესიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 6. ნიგვზისა და ბადაგისგან მომზადებული ქართული ნუგბარი; 8. თბილი დინება ატლანტის ოკეანეში; 10. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 12. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 14. აბანოს თანამშრომელი; 15. შიშით გამოწვეული მღელვარება; 16. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში.

თარაზულად: 1. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. მუსლიმანთა წმინდა წიგნი; 9. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა უილიამ შექსპირის ტრაგედიები; 12. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში; 13. ღვინის, დროსტარების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. ესპანური ავიაკომპანია; 18. პენიტენციარული დაწესებულება; 19. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის; 20. ტერიტორიული ერთეული თურქეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა